

# ტრამპი და პუტინი – ორივე ლიდერი გათამამებული, ამაყი, ემოციური და მამლაყინწაა ③




# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


სამშაბათი, 17 აპრილი. 2018 წ. №78 (8479), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ვის მეტი აქვს სასაყვედურო?!..

**ამერიკას რომ მეტი ყურადღება დაეთმო ქართველი ხალხის პირობების გაუმჯობესებისთვის, ვინ გაიხედავდა ჩრდილოეთისკენ? არც არავინ, თითო-ოროლა ორთოდოქსი კომუნისტისა და რუსოფილის გარდა. ასე რომ, წყარო ანტიდასავლური განწყობისა ვაშინგტონიდან მორაკრაკებს. ვაშინგტონში უნდა ეძიონ ამ ტენდენციის წარმოშობის მიზეზები და არა რუსეთში.**


5

## საქართველოს ნატოში შესვლის საკითხს თურქეთში მხარი დაუჭირეს

ანკარა ნატოს გაფართოების მხარდაჭერით გამოდის და მხარს უჭერს ალიანსში საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინის, მაკედონიის გაერთიანებისკენ სწრაფვას, – განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ.

**„ჩვენ ნატოს გაფართოების მომხრე ვართ. მხარს ვუჭერთ ალიანსში საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინისა და მაკედონიის გაწევრიანებას“,** – განაცხადა ჩავუშოღლუმ ნატო-ს გენერალურ მდივანთან, ანკარაში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

## რუსეთმა სირიაში სადესანტო ხომალდი გაუშვა



**რუსეთის საზღვაო ძალების სადესანტო ხომალდი „ორსკი“ სირიის სანაპიროებისკენ მიცურავს.** ხომალდმა შავი ზღვა ბოსფორის სრუტით დატოვა და ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. სტამბოლის მედიის ცნობით, რუსული სამხედრო გემი სირიის პორტ ტარტუსკენ მიემართება. გემი სამხედრო ტექნიკითაა დატვირთული.

## რუსეთის სამხედრო რეფორმა, ცდა და შეცდომა ⑨

## როცა საქართველოს ცაც ოკუპირებულია!..

## აურზაური ერევანში სერჟ სარგსიანის გამო...

**რამდენიმე ადამიანი დაშავდა ერევანში მომიტინგეებსა და პოლიციას შორის მომხდარი ურთიერთდაპირისპირების შედეგად.**



მომიტინგეები, რომლებიც სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას აპროტესტებენ, აცხადებენ, რომ სამართალდამცავებთან შეტაკების შედეგად არიან დაშავებულები, თუმცა ადგილობრივი პოლიცია ამ ფაქტს უარყოფს.

მანამდე აქციის ხელმძღვანელმა, დეპუტატმა ნიკოლ პაშინიანმა თავის მხარდამჭერებთან ერთად შეეცადა შეეღწია პარლამენტის შენობაში, თუმცა პოლიციამ ეს მცდელობა შეაჩერა. აქციის მონაწილეებს მოუწოდებენ, მოშორდნენ პოლიციის დერეფანს. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ურთიერთშეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ადგილზე გამოიძახეს სასწრაფოს ორი ბრიგადა, თუმცა პოლიცია ამ ფაქტსაც არ ადასტურებს.

## ტრამპმა რუსეთი და ჩინეთი ვალუტის გაუფასურებაში დაადანაშაულა

**ტრამპმა რუსეთი და ჩინეთი ვალუტის დევალვაციაში დაადანაშაულა და ამ საქციელს ყოვლად დაუშვებელი უწოდა.**

**რუსეთი და ჩინეთი ვალუტის დევალვაციაზე თამაშობენ, მაშინ, როცა აშშ აგრძელებს საპროცენტო განაკვეთის გაზრდას. ეს დაუშვებელია – წერს ტრამპი თავის Twitter გვერდზე.**

რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის თებერვალში დაიწყო უცხოური ვალუტის ყიდვა შიდა ბაზარზე, რათა შეემცირებინა რუბლის გაცვლითი კურსის დამოკიდებულება ნავთობის ფასების არასტაბილურობასთან დაკავშირებით. ამ მიზნებისთვის მიმართულია დამატებითი ნავთობისა და გაზის ბიუჯეტის შემოსავლები. ამ ოპერაციების გავლენა რუბლზე, ფინანსთა სამინისტროს და ცენტრალური ბანკის მტკიცებით ნეიტრალური უნდა იყოს.

სამინისტრომ მანამდე განაცხადა, რომ 6 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით, ყოველდღიურად იყიდის 11.5 მილიარდ რუბლს შიდა სავალუტო ბაზარზე და საერთო ჯამში ამ მიზნით მიმართავს 240.7 მილიარდ რუბლს. თუმცა, ორშაბათს, რუბლის კურსის მკვეთრი ვარდნის გამო, აშშ-ის ახალი სანქციების ფონზე ყიდვები შეწყდა. ცენტრალურმა ბანკმა პირობა დადო, რომ განაახლებდა ვალუტის შესყიდვებს, როგორც კი რუსული ბაზარი უფრო სტაბილური გახდებოდა.

ვისაც სუსტი გული აქვს... ნუ წაიკითხავს! ⑦

## ტარიელ ონიანი – ქურდების „გენერალისიმუსი“





# სავალუტო ფონდის მისიასთან დასკვნითი შეხვედრა გაიმართა

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმატებით შეფასდა ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა, რომელთა უმრავლესობა გაწერილია ჩვენს პროგრამაში სავალუტო ფონდთან. მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც 2017 წელს დაფიქსირდა საქართველოში და გრძელდება 2018 წელს, მტკიცე საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ შესრულდეს მთავრობის მიერ აღებული ყველა ვალდებულება და შენარჩუნდეს წარმატებული პროგრესი რეფორმების იმპლემენტაციის მიმართულებით,** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) პროგრამის მეორე მიმოხილვის წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია, საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ მთავრობა სწორ და თანამიმდევრულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს.

პირველი ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველ როლს კერძო სექტორი ასრულებს. ბიზნესმა 2017 წლის განმავლობაში 39 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. იმავე პერიოდში ბრუნვები კერძო სექტორში წლიურად 19 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იზრდება საგარეო შოკებისადმი მდგრადობა და მცირდება საგარეო მოწყვლადობა. **„აღნიშნული შეფასების გაკეთების საშუალებას გვაძლევს მიმდინარე ანგარიშის ბალანსის პოზიტიური დინამიკა. 2017 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და მთლიანი შიდა პროდუქტის 8.7 პროცენტი შეადგინა“,** — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

# საჩვენებელი საზღვაო სწავლება შავ ზღვაზე

**სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზას ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი როსარია პულისი ესტუმრა. სტუმარს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა თემურ კეკელიძემ უმასპინძლა.**

როსარია პულისმა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნო დაათვალიერა და აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ გადმოცემული, 200-ტონიანი ამწით კატარღის ამოღების საჩვენებელ პროცესსაც დაესწრო. მხარეებმა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების საკითხები განიხილეს და ამ მიმართულებით საქართველოს სანაპირო დაცვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საქართველოში ნატოს დღეებთან დაკავშირებით, სტუმრებისთვის შავ ზღვაზე საჩვენებელი საზღვაო სწავლება ჩატარდა. საზღვაო წვრთნის მიზანი იყო სააბორდაჟო ჯგუფების ურთიერთქმედების ეფექტურობის შეფასება, სწრაფად ცვალებად გარემოში დროული და სწორი რეაგირების მექანიზმის დანერგვა, პირადი შემადგენლობის უნარ-ჩვევების დახვეწა და მზადყოფნის შემოწმება. სწავლებაში,



შიდაუწყებრივი ურთიერთთავსებადობის ამაღლების მიზნით, ჩართული იყო სასაზღვრო ავიაცია.

# ფოფხაძეს ჭორაობასა და ცილისწამებას ურჩევნია, საქმე აკეთოს, რაშიც ის ხელფასს იღებს!

**გედევან ფოფხაძე არის ცილისმწამებელი კაცი, ჭორაობასა და ცილისწამებას ურჩევნია, საქმე აკეთოს, რაშიც ის ხელფასს იღებს,** — ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო კილაძემ მისი პირველი მოადგილის გედევან ფოფხაძის ბრალდებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც ფაქსიმილეს გაყალბებას ეხება. კილაძე ფოფხაძის ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ ის, რაზეც ფოფხაძე საუბრობს, მხოლოდ ცილისწამებაა. მისივე თქმით, მას ფაქსიმილეს გაყალბება არ შეეძლო, რადგან ქვეყანაში ფიზიკურად არ იმყოფებოდა.



**„ვიყავი ჩინეთში და თუ ჩინეთიდან შეიძლება ფაქსიმილეს გაყალბება, მაშინ კი ბატონო, დანაშაული ჩამიდენია. გარდა ამისა, იურისტმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ თუ დანაშაულს ჰქონდა ადგილი და ის ამას ფარავდა, თავად უნდა მიეცეს პასუხისგებაში. მაშინ გედის პასუხისმგებლობაზეც ვიფიქროთ“,** — განაცხადა სოფიო კილაძემ.

ცნობისთვის, გედევან ფოფხაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ მივლინებაში ყოფნის დროს, სოფო კილაძემ ნებართვის გარეშე მისი ფაქსიმილე გამოიყენა.

# მემანქანეებისთვის ხელფასების გაზრდა არ იგეგმება!

**— მემანქანეებისთვის ხელფასების გაზრდა არ იგეგმება, რადგან მათ საკმარისი ხელფასი აქვთ — დაახლოებით, 1200, 1300, 1400, 1500 ლარი, გააჩნია მემანქანეს. ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ გვაქვს მთელი რიგი მიმართულებები, სადაც ხელფასების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემებია, თუნდაც ბაღების მიმართულებით. ადამიანები დღე და ღამე მუშაობენ, აქვთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობები და ხელფასი 300-400 ლარი აქვთ, დირექტორებს — 800 ლარი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა. რაც შეეხება მეტროს მემანქანეებს, საკმარისი არასდროს არაფერი არ არის, თუმცა მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკისა და ქალაქის განვითარებასთან ერთად, ხელფასის მატება გონივრულობის ფარგლებში უნდა იყოს“,** — განაცხადა კალაძემ.





# მთავრობა აუცილებლად გადადგამს პრინციპულ ნაბიჯებს

**ბანკების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ნათლად ვთქვით, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის წახალისებისთვის საქართველოს მთავრობა აუცილებლად გადადგამს პრინციპულ ნაბიჯებს,** — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საბანკო სექტორის ხელმძღვანელებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ.

**—მე არაერთხელ განვაცხადე, რომ არსებობს გარკვეული კითხვები და ამ კითხვებზე საჭიროა პასუხების მიღება. საფინანსო სექტორის ადეკვატური ჩართულობა მცირე და საშუალო მეწარმეობის წახალისების, სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის რეფორმის საკეთილდღეოდ, არის მნიშვნელოვანი, ამიტომ ჩვენ გვქონდა ძალიან პრინციპული და საგნობრივი საუბარი. მეორე პრობლემა, რომელზეც გვქონდა კომუნიკაცია, შეეხება ჭარბვალიანობის პრობლემას ჩვენს მოსახლეობაში. აქაც, საბანკო სექტორს აქვს საშუალება, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას ამ კუთხით. ჭარბვალიანობა, ზოგადად, კომპლექსური პრობლემაა და მას სჭირდება სისტემური მიდგომა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი შეხვედრები იქნება სისტემური ხასიათის, დაახლოებით, სამ კვირაში, ჩვენ გვექნება კიდევ ერთი შეხვედრა, სადაც იმედს ვიტოვებ, რომ ამ შეკითხვებზე მივიღებთ შესაბამის პასუხებს“,** — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

# რის გამო შეიწყალეს ვეფხია ბაქრაძე?!

25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულის ვეფხია ბაქრაძის შეწყალების შესახებ პრეზიდენტმა განცხადება გააკეთა და იმ გარემოებებზე ისაუბრა, რის გამოც შეწყალების კომისიამ ბაქრაძის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტის თქმით, კომისიას შეწყალების თხოვნით, ბაქრაძის მეუღლემ მიმართა: **„2014 წლის აგვისტოში ექვმიტანილმა, რომელიც მაშინ მსჯავრდებული იყო, ჩაიდინა ძალადობის აქტი თავისი მეუღლის მიმართ, თუმცა მაშინ ეს ადამიანი არ იყო დაპატიმრებული და მხოლოდ ოთხთვენახევრის შემდეგ, დეკემბერში ჩადენილი ავარიის შემდეგ იქნა დაკავებული და მიესაჯა სასჯელი. მან ერთხელ მიმართა შეწყალების კომისიას და მისი თხოვნა უარყოფილ იქნა, მეორე მიმართვისას კომისიაში შესული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საბუთი, რომელთაგანაც აღსანიშნავია სასჯელაღსრულების ცნობა, რომელიც ეფუძნება ფსიქოლოგის დადებით დასკვნას, სოციალური მუშაკის დადებით დასკვნას, სამართლებრივი რეჟიმის დაწესებულების ინსპექტორის დადებით დასკვნას და სამედიცინო ცნობას, რომელშიც არ არის მითითებული რაიმე სულიერი აშლილობის თაობაზე. საქმეს ერთვოდა მსჯავრდებულის აღიარება და იმ ფაქტის აღწერა, რომ ის 4 შვილის მამა იყო. თხოვნას თან ერთვოდა ოჯახის გამოხატული სურვილი ბრალდებულის გათავისუფლების თაობაზე. ამ დეტალზე მეტ კონკრეტიკას ვერ მოგახსენებთ“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.



* * *

**შეწყალების კომისია ძალადობრივი დანაშაულისთვის გასამართლებულების შეწყალებას დროებით წყვეტს** — განცხადება ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გუშინდელ ბრიფინგზე გააკეთა, სადაც 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულის ვეფხია ბაქრაძის შეწყალების შესახებ ისაუბრა.

# პრეზიდენტის შეწყალება ამ შემთხვევაში გამართლებული არ იყო!

25 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძის შეწყალების საკითხს შს მინისტრის მოადგილე ეხმაურება და ამბობს, რომ შსს-ს მკაცრი პოლიტიკა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან მიმართებაში ვერ აღსრულდება, თუ ყველა უწყება და მათ შორის პრეზიდენტი არ გაატარებს მკაცრ პოლიტიკას ასეთ დანაშაულთან.



**„ამ ადამიანს წარსულში ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობისთვის. მან მაშინ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა მეუღლეს, რომლის შვილის მკვლელობაშიც ახლა ედება ბრალი. არ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის შეწყალება ამ შემთხვევაში იყო გამართლებული. ზოგადად, მიდგომა შინაგან საქმეთა სამინისტროსი ამ კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით არის საკმაოდ მკაცრი. ვერ მოხდება ჩვენი მკაცრი პოლიტიკის აღსრულება პრაქტიკაში და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ეფექტურად დაცვა, თუ ყველა უწყება და მათ შორის პრეზიდენტი არ გაატარებს მკაცრ პოლიტიკას მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით“,** — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

# „შემაკავებელი ორდერი საკმაოდ ეფექტური საშუალებაა!“

— აცხადებს შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი ორდერის მნიშვნელობაზე 25 წლის გოგონას მკვლელობის საქმეზე კომენტარის გაკეთებისას: **„შემაკავებელი ორდერი საკმაოდ ეფექტური საშუალებაა იმისთვის, რომ მოძალადის ქცევის შეკავება და ძალადობის თავიდან არიდება მოახდინოს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა მხოლოდ შემაკავებელი ორდერი საკმარისი არ არის და როცა ასეთი შემთხვევებია, სათანადო იძულების ღონისძიების გამოყენება ხდება — ეს იქნება დაკავება თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. შემაკავებელი ორდერი საკმაოდ მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომ მოძალადეები შევაკავოთ“.**

**დონალდ ტრამპის** სიტყვებისამებრ, სირიაში მშვენიერი, ახალი და „ჭკვიანი“ რაკეტები წავიდა. ავიადარტყმებს გადაურჩა ბაშარ ასადი. სირიის რეჟიმის ლიდერი ცოცხალია. Telegram-ზე გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს სამსახურში მიმავალი ბაშარ ასადი, რომელსაც ხელში პატარა ჩანთა უჭირავს. ვიდეორგოლს კომენტარი ახლავს — „მწუხარების დილა“. დღეს დილით ადრე კოალიციური ძალების მიერ სირიაში რამდენიმე ობიექტის ავიადაბომბვა განხორციელდა, რაც ასადის რეჟიმის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებას მოჰყვა...



სირიის მთავრობა აცხადებს, რომ რაკეტების უმეტესობა მათ მოიგერიეს, თუმცა რამდენიმე მაინც მოხვდა მიზანს. ამის მიუხედავად, „ბარბაროსული აგრესია გავლენას ვერ მოახდენს სირიელი ხალხის სიმტკიცეზე“, — ნათქვამია სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

გადაიზრდება თუ არა სირიის კონფლიქტი რუსეთთან და ირანთან ამერიკის ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში?! ამის შესახებ პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** გვესაუბრება.

# ტრამპი და პუტინი – ორივე ლიდერი გათამამებული, ამაყი, ემოციური და მამლაყინწაა



**— პენტაგონის ხელმძღვანელი ჯეიმს მეტისი დახურულ შეხვედრაზე არ მალავდა, რომ სირიაზე იერიშს შესაძლოა, რუსეთსა და ირანთან ფართომასშტაბიანი კონფლიქტი გამოეწვია. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ამერიკა სირიაში მძლავრ შეტევას განახორციელებდა. როგორ ფიქრობთ, დაიძაბება სიტუაცია რუსეთსა და ირანთან, რომელთა მეშვეობითაც ასადის რეჟიმი ძალაუფლებას ინარჩუნებს?**

— როგორც ჩანს, ტრამპმა ირანთან საქმის გარჩევა მაისის ბოლომდე გადადო, ვინაიდან მაისში ვადა გაუდის ირანთან დადებული ისტორიული შეთანხმების დიდ ნაწილს და უნდა შეფასდეს ამ შეთანხმების შედეგები. ვარაუდობენ, რომ მაისში, ალბათ, ტრამპი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საერთოდ მიატოვოს ეს შეთანხმება, ანუ როგორც თვითონ ამბობს, „სდელკა“-გარიგება. რაც შეეხება რუსეთს, ევროპელ ლიდერებს შორის ტრამპთან ყველაზე ახლო კონტაქტი აქვს მაკრონს. ორი დღის წინათ მაკრონმა ხელები ასავსავა და ზედიზედ სამჯერ გაიმეორა, ჩვენ დავარტყამთ სირიას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დავაზიანებთ ირანსა და რუსეთს, ვინაიდან ეს იქნება წერტილოვანი დარტყმა მხოლოდ სირიის მიმართულებით და მხოლოდ იმ ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, სადაც მზადდება ქიმიური იარაღიო.

საერთოდ, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი სამხედრო აქციის ეფექტურობას 99%-ით განსაზღვრავს მოულოდნელობის ფაქტორი. რამდენადაც მოულოდნელია მეორე მხარისთვის დარტყმა, იმდენად დამანგრეველია ეს მისთვის. ამ დროს კი ტრამპმა ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან მოყოლებული ყველა კანონი დაარღვია, როდესაც ერთი კვირით ადრე გააფრთხილა მთელი მსოფლიო, პირველ რიგში, სირია, დედას გიტირებ და დაგარტყამო. ეს დრო სირიამ უკვე გამოიყენა. ყველაზე ეფექტური დარტყმა ის იქნებოდა, რომ ამერიკას საერთოდ მოესპო სირიის ავიაცია, მაშინ სირია უკვე ქიმიურ იარაღსაც ველარ გამოიყენებდა, რადგან, როგორც წესი, ბომბები თვითმფრინავებს მიაქვთ და თვითმფრინავები ყრიან ამ ბომბებს. როგორც კი სირიელებმა გაიგეს, რომ ამერიკა დარტყმას აპირებდა, მთელი თავიანთი სამხედრო თვითმფრინავები გადაიტანეს სამ ბაზაზე, სადაც რუსეთის ჯარი დგას. ეს არის ლატაკია, ჰმეიმინი და ტარტუსი.

**— სირიელები დარწმუნებული არიან, რომ ამერიკა რუსულ ბაზებს არ დაარტყამს.**

— ამერიკა რუსულ ბაზებს არ დაარტყამს. ტრამპი გიჟი არ არის, უბრალოდ, ის თავისი ტვიტერით მთელ მსოფლიოს ასულელებს, თორემ თვითონ ძალიან ჭკვიანია. რაში აწყობს ტრამპს მსოფლიო ომამდე მიიყვანოს საქმე? ეს არავის აწყობს, არც ტრამპს და არც პუტინს.

**— სირიაში ავიადარტყმებზე საუბრისას რუსი პოლიტოლოგები არ მალავენ, რომ ორივე ქვეყანას — ამერიკასაც და რუსეთსაც არაპროგნოზირებადი ლიდერები ჰყავს და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებენ. პუტინის აგრესიული რიტორიკის მსგავსად, რომელმაც ამას წინათ ბირთვული რაკეტები ილუზორულად დაუმიზნა ამერიკის ერთ-ერთ შტატს — ფლორიდას, ტრამპის აგრესიული რიტორიკაც გაისმა — „მოემზადე, რუსეთო, სირიაში მშვენიერი, ახალი და „ჭკვიანი“ რაკეტები წამოვა“. ეს ხომ არ არის იმის წინაპირობა, რომ ტრამპს პუტინთან კომუნიკაციაში უფრო ახლოს შესვლა სურს? ამისთვის ხომ არ ამზადებს ნიადაგს თავისი მკაცრი რიტორიკით?**

— ეს ტრამპის სტილია, ჯერ ემუქრება და მერე სთავაზობს მოლაპარაკებას. ამ სტილმა გაამართლა ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებით. ორი თვის წინათ კიმ ჩენ ირს ტრამპთან მოლაპარაკების, შეხვედრის გაგონებაც არ უნდოდა. როგორც ჩანს, ახლა მაისისთვის დაგეგმილია ეს შეხვედრა. ამერიკის ერთ-ერთ შტატზე პუტინის მიერ რაკეტების დამიზნება საჩვენებელი ვიდეო იყო, რუსეთის შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი. გათვლილი იყო რუსული არჩევნებისთვის, რუსი მოსახლეობისთვის. ამიტომაც სერიოზულმა ამერიკელმა ექსპერტებმა მეორე დღესვე დაწერეს, ჩვენ ახალი არაფერი გვინახავს, ყველაფერი ვიცოდით, რაც აქვს პუტინს, რადგან ამის დამალვა არ შეიძლება. ტრამპის რიტორიკას რაც შეეხება, სარწმუნოდ მიმაჩნია სულ ახლახან გაელვებული ცნობა იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღეა, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს კონტაქტები, ერთი მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის და, მეორე მხრივ, ნატოში რუს და ნატოს სამხედროებს შორის.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ყოფილი თავდაცვის მინიტრის გამოსვლა მოვისმინე. ასეთი არასერიოზულობა უკვე აღარ მიკვირს: თითქოს აპოკალიფსი იწყება, თითქოს ტრამპი გადაუვლის სირიას, რუსეთსაც რომ ტრამპმაც სახე შეინარჩუნოს და პუტინმაც სახე შეინარჩუნოს, რადგან ორივე ლიდერი არის გათამამებული, ამაყი, ემოციური, მამლაყინწა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომლებიც, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ შეეგუებიან დამცირებას. ამიტომ არც ერთი მათგანი მეორეს არ დაამცირებს, რადგან იციან, რომ დამცირებული დამცირებას არ გადაყლაპავს და რა მოჰყვება ამას, არავინ იცის. აქ კიდევ სხვა ფაქტორია — გარემოცვა.

დღეს სადამ ჰუსეინის სტილის დიქტატორი არც ტრამპია და არც პუტინი. მე არ ვიცი, რამდენად სწორია „ფორბსის“ დასკვნა, პუტინს40 მილიარდი დოლარის ქონება აქვს, მაგრამ დავუშვათ, გაზვიადებულია ეს 40 მილიარდი დოლარი და 20 მილიარდი აქვს. რისთვის უნდა ეს 20 მილიარდი პუტინს? იმისთვის, რომ მისმა შვილებმა, შვილიშვილებმა და თვითონ ისარგებლონ. ადრე თუ გვიან, ხომ გავა პენსიაზე? გარდა ამისა, რუსი მილიარდერების საქმიანობა როგორია? ისინი რუსეთში შოულობენ ფულს, მაგრამ ევროპაში ხარჯავენ, რადგან რუსეთში ამ ფულს ლამაზად ვერ დახარჯავ. ევროპული მასშტაბით ვერ იგრიალებ რუსეთში, სწორედ ევროპაშია ზედ მიაყოლებს. აქ მთავარია, რომ ტრამპი დაიმუქრა და ის ამას ვერ გადათქვამს, მან სახე უნდა შეინარჩუნოს და დარტყმა განახორციელოს, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ეს დარტყმა იქნება მხოლოდ სიმბოლური. ატყდება ერთი აურზაური, ტრამპმა ეს რა ქნა, სირიას დაარტყაო, მაგრამ, სინამდვილეში, არანაირი სერიოზული ამ დარტყმას არ მოჰყვება. ჩვენ ასეთი დარტყმა ვნახეთ შარშანაც, როცა 99 ფრთოსანი რაკეტა გაუშვა ტრამპმა სირიის წინააღმდეგ. მაშინაც ქიმიური იარაღი გამოიყენა ასადის რეჟიმმა, მაგრამ მეორე დღეს ამერიკელი ჟურნალისტები წერდნენ, ჩვენ ჩავედით სირიაში, დავათვალიერეთ ეს ადგილები და საერთოდ ვერანაირი შედეგი ვერ ვნახეთ, მხოლოდ ერთი-ორი ძველი თვითმფრინავი იყო დამწვარიო. ახლაც სიმბოლური დარტყმა იქნება, იახტები, ღამის კლუბები, მილიონიანი სადილები, რესტორნები, ლამაზი ქალები. ევროპა ევროპაა მაინც. რუსი მილიარდერები ევროპაში ცხოვრობენ, მათი შვილები ევროპულ სკოლებში, უმაღლესებში სწავლობენ, მათი ცოლები ევროპული კლუბების წევრები არიან. რუსი მილიარდერები საკუთარი თვითმფრინავებით ჩადიან მოსკოვში თავიანთ ოფისებში, იქ მათ აქვთ ალუმინის, გაზის, ნავთობის, ქვანახშირის კომპანიები. ასე რომ, მათ აწყობთ ახლა ომი?

**— ლავროვი იმედოვნებს, რომ დასავლეთი ერაყისა და ლიბიის სცენარით სირიაში ავანტიურას არ მოაწყობს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამერიკა აპირებდა სირიის დატოვებას და ტრამპიც აცხადებდა, დაე, ახლა სხვებმა იზრუნონ სირიაზეო. ამჟამად ვინ „იზრუნებს“ სირიაზე?**

— ტრამპმა ოთხი დღის წინათ ტვიტერში დაწერა, როდის უნდა მოვშორდე სირიასო, მაგრამ სხვადასხვა მონაცემებით, იქ ჰყავს 2 ათასიდან 20 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი. ყოველ შემთხვევაში, სიტუაციის გამწვავების შემდეგ ტრამპი ამ ეტაპზე საკუთარ ჯარს ვერ გამოიყვანს სირიიდან.

**— თუკი ტრამპს პუტინთან კომუნიკაციამდე რუსეთის მიმართ ხისტი მიდგომების დემონსტრირება სჭირდება, რათა გონს მოიყვანოს პუტინი, მაშინ რა დათმობაზე შეიძლება დაიყოლიოს გონს მოსული რუსეთის ლიდერი?**

— „რაკეტებისთვის მოემზადე, რუსეთო“, ეს უკვე ლირიკაა, ამ განცხადებიდან ათი წუთის შემდეგ ტრამპმა ტვიტერზე მეორე განცხადებაც დადო, სადაც პირდაპირ თქვა, რომ არანაირი მიზეზი არ არსებობს რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობის გამწვავების. ეს საშინელებაა იმ მხრივ, რომ მისთვის მიზეზი არც უკრაინა ყოფილა, არც სკრიპალების მოწამვლა, არც ქიმიური იარაღის გამოყენება. საქართველო ვიღას ახსოვს. უბრალოდ, ტრამპმა თქვა, არ ვიცი, რატომ გაფუჭდა ჩვენი ურთიერთობა, რუსეთს არაფერი ცუდი არ გაუკეთებიაო. პრაქტიკულად, მისი განცხადება ამას ნიშნავდა. მოკლედ, დღეში ცხრაჯერ იცვლის ხასიათს. გარდა ამისა, ტრამპმა გუშინწინ გაავრცელა ცნობა, 24 საათში მე უკვე ზუსტი მონაცემი მექნება იმის თაობაზე, რომ ასადმა გამოიყენა ქიმიური იარაღი. არადა, ასადი ამას უარყოფს, რუსეთიც ამ ინფორმაციას უარყოფს.

**— ოფიციალური მოსკოვი ირწმუნება, რომ მას უტყუარი მტკიცებულებები აქვს, თითქოს სირიაში ქიმიური თავდასხმა დადგმული იყო.**

— დიახ, მაგრამ გავიდა ეს 24 საათი, ახლა უკვე სირიის ქალაქ დუმაში მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ქიმიური იარაღის გამოყენებას სწავლობს, მაგრამ ისინიც უკმაყოფილო არიან, ვინაიდან სირიის არმიის ნებართვით შევიდნენ იმ ტერიტორიაზე, სირიელები არავის უშვებენ იქ. ევროპელები ცოტა ფრთხილად არიან. იგივე ემანუელ მაკრონი, ტერეზა მეი ამბობენ, ჩვენც მივიღებთ სირიაში კოალიციურ ძალებთან ერთად მონაწილეობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მეტი დამამტკიცებელი საბუთი გვექნება, რომ ასადმა გამოიყენა იარაღი. ეს მხოლოდ ტრამპი ამბობს, მე არ მაინტერესებს, ასადმა გამოიყენა ქიმიური იარაღი, თუ არ გამოიყენა, მე მივიღე გადაწყვეტილება, უნდა დავარტყა სირიასო. გუშინწინ ყველა ელოდა სიტუაციის აფეთქებას, მაგრამ სირიაზე დარტყმა მაინც იქნება, რადგან ტრამპმა სახე უნდა შეინარჩუნოს, უნდა დაისაჯოს ასადი.

**მანანა ნოზაძე**

# ღია კარის დღე ალგეთში

**უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში ღია კარის დღე გაიმართა. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის რეკრუტებმა, რომლებიც საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს გადიან, საჩვენებელ სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების დაწყებამდე მათ ჯარისკაცის მრწამსი წაიკითხეს.**

**სპეციალური სავარჯიშოები რამდენიმე სასწავლო უბანზე ჩატარდა. რეკრუტებს ოჯახის წევრებისა და ახლობლების წინაშე ბრძოლის ველზე სამწყობრო და ფიზიკური მომზადების დემონსტრირების შესაძლებლობა მიეცათ. ინსტრუქტორების დახმარებით მათ სტუმრებს ბრძოლის ველზე გადაადგილების, ასევე, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვის ხერხები წარუდგინეს. საჩვენებელი სწავლების დროს დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში საკუთარი ძალების მოსინჯვის საშუალება რეკრუტების ოჯახის წევრებსაც ჰქონდათ.**

**ალგეთში ათკვირიან საწყის საბრძოლო მომზადებას (BCT) ამჟამად სხვადასხვა რეგიონიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული 145 და საკონტრაქტო სამსახურში მყოფი 350 სამხედრო მოსამსახურე გადის.**

**ღია კარის დღის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, 2018 წელს სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში პირველ ეტაპზე გაწვეული სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ.**




**საბრძოლო მომზადების კურსის დასრულებისა და 26 მაისს ფიცის დადების შემდეგ, ისინი სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან და ოთხწლიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გაივლიან. ალგეთის საწვრთნელ ბაზაზე ზაზა ფერაძის შვილები — დემეტრე და ანასტასია, მათი პედაგოგები და ქალაქ რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმის“ სხვა მოსწავლეებიც იმყოფებოდნენ.**

# არა ოდენ წიგნთსაცავი

**ერედა მცხეთის მუნიციპალიტეტში სიძველით გამორჩეული ლამაზი სოფელია. აქ 170-მდე კომლი ცხოვრობს. სოფელში აქვთ რიგიანად გამართული საჯარო სკოლა, ახლადშერემონტებული კარგი საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს, და რომლის დაარსებიდან 60 წლის იუბილე ამ დღეებში აღინიშნა.**

თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა ბიბლიოთეკის ზეიმზე. მოვიდნენ სტუმრებიც. კულტურის სახლის დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ (ხელმძღვანელი მაია თელია), კერძოდ კი, გაერთიანების საბიბლიოთეკო განყოფილებამ (ელისაბედ ჩიხლაძე), მშვენიერი საიუბილეო ღონისძიება მოამზადა საცეკვაო და სასიმღერო ნომრებით, კარგად შერჩეული მხატვრული კითხვის ნიმუშებით, მინი თეატრალური წარმოდგენებით.

მაყურებლის თვალწინ გაცოცხლდა ბიბლიოთეკაში სხვადასხვა დროს გამართულ ღონისძიებათა მთელი სპექტრი — ფართო ეკრანზე ჩანდა, რამდენ კარგ საქმეს გასძღოლია ბიბლიოთეკარი ვენერა პირმისაშვილი, რომელიც 36 წელიწადია, მკითხველის სამსახურშია. როცა მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხას ეცნობი, რწმუნდები ჭეშმარიტებაში, რომ ბიბლიოთეკა ოდენ წიგნთა საცავი კი არა, მკითხველის გულსა და გონებაზე მოქმედი ცოცხალი ორგანიზმია, გონიერი ბიბლიოთეკარის მიერ შერჩეული ნაირგვარი შინაარსითა და თემებით დახუნძლული ღონისძიებებით, რომლებიც სოფლის ახალგაზრდა თაობას ცოდნის სამყაროში ყველაზე საიმედო მეგზურად გაუძღვება წინ...



ერედის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი.

ქ-ნ ვენერა პირმისაშვილს ბიბლიოთეკის საიუბილეო თარიღი მიულოცეს კოლეგებმა და ზეიმზე მოწვეულმა საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა, აგრეთვე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა. მათ ბიბლიოთეკას ახალი წიგნები გადასცეს საჩუქრად. ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მცხეთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა მაია თელიამ ქ-ნ ვენერა პირმისაშვილს მადლობის სიგელი გადასცა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მადლობის სიგელი გადაეცა ბიბლიოთეკარ მარიკა წიკლაურსაც.



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ბაქრაძე წიგნებს საჩუქრად გადასცემს ერედის ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს ვენერა პირმისაშვილს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ბაქრაძემ და მცხეთის მერმა გიორგი (გოგიტა) კაპანაძემ მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს, ბიბლიოთეკის მესვეურთ და ხაზგასმით აღნიშნეს სოფლის ბიბლიოთეკის უპირატესი როლი და დანიშნულება სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-ცოდნასთან ზიარების საქმეში. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წელს ერედის კულტურის სახლს რეაბილიტაცია ჩაუტარდება — დარბაზი ოვაციით შეხვდა. გიორგი კაპანაძემ თავის დანაპირებს ისიც დაამატა, რომ აქტიურად ჩაერთვება ბიბლიოთეკების ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვის პროექტში და იზრუნებს იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკას ჰქონდეს შესაბამისი ფართობი, ახალი ტექნოლოგიები და ახალი წიგნებითაც გამდიდრდეს მათი წიგნადი ფონდი.

**თამარ თათარაშვილი,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

# ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობათა ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

თბილისში დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში მოეწყო საზეიმო მიღება, რომელიც ეძღვნებოდა ქართულ-ებრაული 26-საუკუნივანი უნიკალური ურთიერთობისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებას. საღამოს წამყვანის ჯამლეტ ხუხაშვილის თხოვნით დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, სპორტისა და კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ, ისრაელის ელჩმა შაბთაი ცურიმ და მუზეუმის დირექტორმა გივი ლამბაშიძემ.




გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველომ მიმართა იუნესკოს, რათა ამ საკითხის საერთაშორისო დონეზე აღიარება მოხდეს.



# „ანიდან ჰოემდე“

თბილისის საკრებულოში სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „ანიდან ჰოემდე“ გაიმართა. საღამო თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ გახსნა. მან დამსწრე საზოგადოებას ქართული ენის დღე მიულოცა და 1978 წლის 14 აპრილს განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა. საკრებულოს თავმჯდომარის გარდა, ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ თბილისის მერი კახა კალაძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ნანა მაჭავარიანი. მათ 40 წლის წინათ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს და ქართული ენის წინაშე დღეს არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს.

საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში მოწყობილი გამოფენა ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიას ასახავდა. საღამოზე წარმოდგენილი იყო პირველი ქართველი ქსილოგრაფისა და გრავიორის, ქართული გრაფიკის ფუძემდებლის გრიგოლ ტატიშვილის მიერ შექმნილი უნიკალური ქართული ანბანი „თაიგული“, ასევე სამი უმნიშვნელოვანესი ქართველი საზოგადო მოღვაწის — დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის პირადი საარქივო მასალა, ათი სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი და ამჟამად გაშიფრული შრიფტები.

**რევაზ თოფურია**

# ათასწლეულის გამოწვევების ფონდმა ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა

პირველ ადგილზე სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS (GEORGIAN-ENGLISH-SPANISH-SCHOOL)-ის უფროსკლასელთა პროექტი „რობოტი ლაბორანტი“ გავიდა.

პროექტში ჩართული მოსწავლეები აშშ-ში NASA-ს კოსმოსურ ცენტრში გაემგზავრებიან და NASA-ს საგანმანათლებლო პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას. ათასწლეულის კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება. კონკურსი 2014 წლიდან ხორციელდება და მასში 280 გუნდს და 1000 მოსწავლეს საქართველოდან აქვს მონაწილეობა მიღებული.



# შენდება ქვემო და ზემო ფონიჭალის დამაკავშირებელი გზაგამტარი

**დედაქალაქის მერი კახა კალაძე ქვემო და ზემო ფონიჭალის დამაკავშირებელი მიწისქვეშა სარკინიგზო გზაგამტარის მშენებლობის პროცესს და მასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.**

**მიწისქვეშა სარკინიგზო გზაგამტარი გოფრირებული ლითონის კონსტრუქციით მოეწყობა. გზაგამტარის სიგრძე სულ 42 მეტრი, სიგანე 11 მეტრი, ხოლო სიმაღლე 4.5 მეტრი იქნება. გვირაბის საავტომობილო სავალი ნაწილის სიგანე შვიდ მეტრს შეადგენს, ტროტუარების კი — ორ-ორ მეტრს. პროექტის მიხედვით, მოეწყობა გზაგამტართან მისასვლელი საავტომობილო გზა, რომელიც 300 მეტრი იქნება.**

„აღნიშნული პროექტის დასრულებას დაახლოებით, სამი-ოთხი თვე დასჭირდება. ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით, 50 მეტრიანი გვირაბი გაკეთდება, რომელიც რკინიგზის მაგისტრალის ქვეშ გაივლის. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, ამ პროექტზე ძალიან დიდი მოთხოვნა იყო. ჩემი დაპირება იყო, რომ მას აუცილებლად გავაკეთებდით. სამუშაოები უკვე დაწყებულია და მისი ღირებულება დაახლოებით, 2 300 000 ლარია. ადრე შემოვლითი გზით ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ადგილობრივ მოსახლეობას შვიდი კილომეტრით მეტი გზა უნდა გაევლო, ახლა კი, გზები ერთმანეთს დაახლოებით, 50-მეტრიანი გვირაბით დაუკავშირდება“, **— განაცხადა კახა კალაძემ.**

**სამშენებლო სამუშაოებს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ აწარმოებს. დედაქალაქის ბიუჯეტიდან პროექტზე 2 350 000 ლარი დაიხარჯება. მშენებლობა მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და ოთხი თვე გაგრძელდება.**

# ვის მეტი აქვს სასაყვედურო?!.

## ანტიდასავლურ „პროპაგანდასთან“ დაკავშირებით



**ამერიკას რომ მეტი ყურადღება დაეთმო ქართველი ხალხის პირობების გაუმჯობესებისთვის, ვინ გაიხედავდა ჩრდილოეთისკენ? არც არავინ, თითო-ოროლა ორთოდოქსი კომუნისტისა და რუსოფილის გარდა. ასე რომ, წყარო ანტიდასავლური განწყობისა ვაშინგტონიდან მორაკრაკებს. ვაშინგტონში უნდა ეძიონ ამ ტენდენციის წარმოშობის მიზეზები და არა რუსეთში.**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია იმ ანტიდასავლური, ანტიამერიკული პროპაგანდისა და ქმედების თაობაზე, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში; არის მასთან ბრძოლისა და კონტრღონისძიებათა ეფექტიანი მუშაობის, შესაბამისი დაფინანსების აუცილებლობის, სხვა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი სამომავლო ღონისძიებების გატარების თაობაზეც.**

**საქართველოს სპეცსამსახურმაც, „ზემდგომის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საკუთარი სამომავლო გეგმებიც გაგვანდო. გაწეული მუშაობის ანალიზიდან გამომდინარე, ანტიდასავლური პროპაგანდა, რომელიც თურმე ფართოდ არის გაშლილი ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებულ ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვს იმათი მხრიდან, ვინც ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე დგას.**

აქაური დოკუმენტის შინაარსი, ცხადია, ემთხვევა „ზემდგომის“ ანგარიშს, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს ხელისუფალთა მყარ დასავლურ, პროამერიკულ კურსს. არის თუ არა ამერიკულ-ქართულ დოკუმენტში მოყვანილი საფრთხე – ანტიდასავლური პროპაგანდა, ახალი? არამც და არამც. ორივეში ისეთივე „სიახლეა“ აღნიშნული, ტვინს რომ გვიბურღავს ლამის ბოლო 20 წლის განმავლობაში.

საზოგადოება იმდენად მიიჩვია დასავლეთის წინააღმდეგ მოქმედ „საფრთხეს“, აინუნშიც არ აგდებს მას. საზოგადოებას სხვა, უფრო სერიოზული საფიქრალი აქვს – შიმშილისგან თავის დახსნა. ასეთისთვის სულაც არა აქვს მნიშვნელობა – ვინ რა პროპაგანდას აწარმოებს. მან იცის, რომ საქართველო რა ხანია მკაფიოდ გამოხატულ ევროატლანტიკურ გზას ადგას და რაც არ უნდა მოხდეს, ის ამ კურსიდან არ გადაუხვევს.

დასავლური კურსის ურყეობა 2008 წლის რეფერენდუმმა გადაწყვიტაო – ამბობს ქართული პოლიტიკა და წამითაც არ იზიარებს იმათ მოთხოვნას, ახალი რეფერენდუმის გამართვა რომ სურთ.

2008 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, როგორც აქ, ისე იმ „დალოცვილ“ დასავლეთში. პოლიტიკურ სარბიელზე ახალი სახეები გამოჩნდნენ როგორც აქ, ისე იქ, თუმცა აქ ნაკლებად, ვინაიდან „ძველები“ ძალას არ იშურებენ ახლების დასაბლოკად. მათი სურვილი მარტივია – თვითონ იყვნენ აწ და მარადის.

შემედავებით – „ოცნება“ ახალი არ არისო? ნაწილობრივ, ვინაიდან ზომაზე მეტადაა გაჯერებული „ნაცებით“.

**დიახ! საზოგადოება ძირითადად კუჭზე ფიქრობს, ოჯახის გამოკვებაზე. ასეთი ვერაფრით იფიქრებს ანტიდასავლურ პროპაგანდაზე. დიდი-დიდი, რაც მან შეიძლება გააკეთოს – დასავლეთის გინებაა, რისი საფუძველიც მას იმავე დასავლეთმა მისცა.**

**დასავლეთის მხრიდან სხვა პოლიტიკას რომ ჰქონოდა ადგილი და არა საკუთარი მიზნებისთვის საქართველოს გამოყენებას, სულ სხვა დამოკიდებულება ჩამოყალიბდებოდა მის მიმართ. ჩვენთან მიმართებაში ამერიკამ ნაცადი ხერხი აირჩია – მისთვის ლოიალური ხელისუფლების დასმა ქვეყნის სათავეში, ასევე ლოიალური ოპოზიციის, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა, მათთვის სასათბურე პირობების უზრუნველყოფა.**

ჯამურად ეს პატარა ძალა არ არის ქვეყნის ისე მოსარჯულებლად, ვაშინგტონს რომ უნდა, მაგრამ რაოდენობით გაცილებით ნაკლები, ვიდრე ხალხი – აი, სწორედ ის, ვინც დღეს დასავლეთს აგინებს. გუშინ არ აგინებდა, მაინც რაღაცის იმედი ჰქონდა. დღეს აგინებს და იმ გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობას სულ დასავლეთს აბრალებს.

ამერიკას რომ მეტი ყურადღება დაეთმო ქართველი ხალხის პირობების გაუმჯობესებისთვის, ვინ გაიხედავდა ჩრდილოეთისკენ? არც არავინ, თითო-ოროლა ორთოდოქსი კომუნისტისა და რუსოფილის გარდა. ასე რომ, წყარო ანტიდასავლური განწყობისა ვაშინგტონიდან მორაკრაკებს. ვაშინგტონში უნდა ეძიონ ამ ტენდენციის წარმოშობის მიზეზები და არა რუსეთში.

**თანამედროვე განვითარებამ, ინტერნეტმა, უზუსტესმა მეცნიერებამ მსოფლიო ხალხებს, მათ შორის ჩვენც, მოგვცა საშუალება სახლიდან გაუსვლელად, ტელევიზიითა და კომპიუტერით მივიღოთ ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან – როგორც პროპაგანდისტული, ისე ნაკლებად. დასკვნების გაკეთება ჩვენზეა და ჩვენც ვაკეთებთ, თანაც ისეთს, მათ რომ არ მოსწონთ.**

**აი, სწორედ ანტიდასავლური დასკვნების გაკეთებაში რუსეთია დამნაშავეო, აცხადებენ ამერიკელები, თან იმასაც ვერ ხვდებიან, ტყუილს რომ ამბობენ. წუთით დავფიქრდეთ და ვთქვათ, როგორ შეიძლება რუსულმა პროპაგანდამ დაამარცხოს ამერიკული, კოლექტიური დასავლური?**

პროპაგანდის ფართო მასებამდე მიტანისთვის საჭიროა დიდი დაფინანსება, მსოფლიოში ფართოდ გაშლილი სატელევიზიო ქსელი, ინტერნეტსივრცე და ა.შ., რაც რუსეთს არ გააჩნია. ერთადერთი ტელეკომპანიაა RT, რომელიც რამდენიმე ენაზე აწარმოებს გადაცემას CNN-ის, NBC-ის, ABC-ს, BBC-ის, ფრანგული, გერმანული, იაპონური თუ არაბული ტელეკომპანიების ფონზე. როდესაც ზღვა სატელევიზიო სივრცეში ამერიკელი RT-ს ამოირჩევს, რაღაცაშია საქმე. იმაში ხომ არა, რომ ამერიკელმა მაყურებელმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება სახელგანთქმული ამერიკული ტელეკომპანიების ნახელავს?

**ამერიკელთა მიერ აყვირებული ქართული პოლიტიკა რა ხანია მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს რუსული ტელემაუწყებლობა საქართველოში, ვინაიდან სწორედ ის რაზმავს საქართველოს მოსახლეობას ანტიდასავლურად. დაისაჯოს ყველა, ვინც რუსეთთან ურთიერთობას მოითხოვს. რუსეთის მიმართ რაიმე დადებითის თქმა უმალ ფასდება მოღალატეობად, ჯაშუშობად, ქვეყნის გამყიდველობად და ამას ამბობენ უკვე კარგა ხანია ამერიკა-ევროპაზე მიყიდული პოლიტიკოსები, მედია, არასამთავრობოები.**

როდესაც ცნობილ მომღერალს ნანი ბრეგვაძეს აიძულებ დიდხანს იმტვრიოს თავი რუსეთში შეთავაზებული კონცერტის გამართვა-არგამართვის გამო, რუსეთში მოღვაწე ქართველ ხელოვნების მუშაკებს „შავ“ სიაში შეიყვან, ასეთ საზოგადოებას არაფერი ეშველება.

უნებლიეთ იბადება კითხვა – რატომ იყურება საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რუსეთისკენ?

პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს. მასთან ურთიერთობის ჟამს ბევრი ცუდიც იყო და კარგიც, მაგრამ, თუ კარგად გავაანალიზებთ, კარგი მაინც წონის ცუდს. რუსეთთან ყოფნის დროს ქვეყანა მათხოვრად არ იყო ქცეული – თავაწეული, ქედმაღალი, წელგამართული დადიოდა არა მარტო საქართველოში, არამედ უკიდეგანო საბჭოთა კავშირში.

**საქართველო თითით საჩვენებელი რესპუბლიკა იყო იმ „ავადსახსენებელ“ საბჭოთა კავშირში. ბევრი მოესწრო იმჟამინდელ ცხოვრებას, უამრავ სამუშაო ადგილს, დღეს რომ დეფიციტად არის ქცეული. შავი სამუშაო ვის უნდოდა, დღეს რომ ვერაფრით იშოვი და უცხოეთში გარბიხარ ლუკმაპურის საშოვნელად. ახსოვს ვინმეს ესოდენ მოჭარბებული მათხოვრობა თბილისსა და სხვა ქალაქებში ან მშიერთა ჩხუბი სანაგვე ყუთებთან? რაც გვახსოვს ისაა, სამუშაოს თავის არიდებისთვის რომ სჯიდნენ.**

**წარსულისა და დღევანდელობის შედარებას ღრმა ანალიზი არ სჭირდება, ყველაფერი ხელისგულზე დევს. დანახვაა საჭირო და როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ხედავს ამას – ანტიდასავლური პროპაგანდის მსხვერპლად მიიჩნევა. იმ გაუსაძლის სოციალურ პირობებს, დამოუკიდებლობის წლებმა რომ გვარგუნა, რაღა ანტიდასავლური პროპაგანდა სჭირდება?!**

ამერიკული ყაიდის დემოკრატიამ თუ რა მოუტანა მსოფლიოს, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ რამდენიმეზე – იუგოსლავიის, ერაყის, ავღანეთის, სირიის, უკრაინის მაგალითებზე.

ერაყში შესაჭრელად აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს უშიშროების საბჭოზე სინჯარა წარუდგინა დამსწრეებს: **„ეს არის ქიმიური იარაღი, რომლითაც ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ემუქრება ცივილიზებულ სამყაროს“,** – თქვა მან.

და აშშ-ის სამხედრო „არმადა“ დაიძრა ერაყისკენ – გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე. დასავლური ტელეკომპანიები დაწვრილებით მოგვითხრობდნენ ერაყში დატრიალებული ამბების შესახებ. გვაჩვენეს სადამ ჰუსეინის დაჭერისა და ჩამოხრჩობის სცენაც.

არანაკლები ამბავი ატეხა „კოლექტიურმა დასავლეთმა“ ლიბიის ლიდერის კადაფის წინააღმდეგ. დასავლურმა მედიამ შეასრულა პოლიტიკური დავალება და ქვეყნის მშენებელი კადაფი საკუთარი ხალხის მჟლეტელად დაგვიხასიათა, ხოლო ტერორისტები, რომლებიც დასავლეთმა ლიბიას შეუსია, დემოკრატიისთვის მებრძოლ რაინდებად.

ტელეკომპანიებმა ზედმიწევნით ასახეს კადაფის დაჭერის და ლამის ძელზე გასმის საზარელი კადრები. ამ სცენის მაყურებელმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა „საყვარლად“ გადაიკისკისა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ მივედით, ვნახეთ, ის მოკვდა“.

კადაფის მოკვლით მოკვდა ლიბიაც – არაბული სამყაროს ყველაზე განვითარებული და წარმატებული ქვეყანა. რა არის დღეს იმ ტერიტორიაზე?

„ქვეყანას“ შეგნებულად არ ვამბობ, ვინაიდან დღევანდელი ლიბია ერთმანეთთან დაპირისპირებული კლანებისა და ტერორისტული ორგანიზაციების სათარეშო ადგილია. მინიმუმ სამად არის დაყოფილი ლიბია – ფეტანად, ტრიპოლიტანიად, კირენაიკად. სამივეს საკუთარი „მთავრობა“ ჰყავს.

რით ვერ მოიგო კადაფიმ „კოლექტიური დასავლეთის“ გული? მან ხომ ბირთვული ბომბის შექმნიდან ხელიც კი აიღო. კადაფი იყო პირველი, ვინც ბრძოლა დაუწყო დოლარსა და ევროს – ოქროს დინარის შემოღებისთვის. კადაფის სურდა ერთიანი აფრიკული სახელმწიფოს შექმნა არაბულ - შავი აფრიკის მოსახლეობით, რომელშიც 200 მილიონი ადამიანი იცხოვრებდა.

კადაფიმ განახორციელა 28 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტი, რომლითაც გამომშრალი ლიბია ნუბიის სასმელი წყლით მომარაგდა – წყალსადენი მილებით. მესამე რიგის სამუშაოების დამთავრების დროს მან თქვა: **„ახლა, როდესაც ლიბიელი ხალხის მიღწევა თვალნათელია, აშშ-ს მხრიდან საფრთხე გაორმაგდა“.**

**საქართველოს უფრო მეტი აქვს სასაყვედურო აშშ-თვის, ვიდრე მას ჩვენთვის, მარტო სააკაშვილის – გაუწონასწორებლის, დესპოტის და კორუმპირებულის თავზე დასმა რად ღირს, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით?!**

**ნეგატიურის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ასე რომ, თუ საქართველომ რუსეთისკენ გაიხედა, არ არის გასაკვირი, ვინაიდან 25-წლიანმა მზერამ ევროატლანტიკური სივრცისკენ დიდი ვერაფერი მოგვიტანა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

## რა ქონებას ფლობს რუსეთის დუმის დეპუტატი საქართველოში?

**„რუსეთის პრეზიდენტმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა, პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა და ფედერალური საკრებულოს (სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოს) წევრებმა 2017 წლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები გამოაქვეყნეს“, – ნათქვამია გაზეთ „Коммерсантъ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

**ვლადიმერ პუტინმა 2017 წელს 18,7 მილიონი რუბლი გამოიმუშავა, რაც 9,9 მილიონი რუბლით მეტია 2016 წელთან შედარებით. პრეზიდენტის მფლობელობაშია საცხოვრებელი ბინა (77 კვ.მ.), გარაჟი (18 კვ.მ.), ავტომობილები – „ვოლგა“ ГАЗ М21) და „ნივა“, მისაბმელ „სკიფ“-თან ერთად. როგორც პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განმარტა, ვლადიმერ პუტინის შემოსავლების გაზრდის მიზეზი ისაა, რომ მან მიწის ნაკვეთი გაყიდა.**

**რაც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს წევრების ქონებას, როგორც გაირკვა, ერთ-ერთ დეპუტატს ქონება საქართველოშიც ჰქონია: „პარტია „ედინაია როსიას“ წევრი, დეპუტატი ოთარ არშბა (დედით ქართველი, მამით – აფხაზი, ФСБ-ის გადამდგარი პოლკოვნიკი, აფხაზი სეპარატისტების ფინანსური სპონსორი 1992-93 წლებში – ს.კ.) საქართველოში ფლობს მიწის ორ ნაკვეთს და ერთ ოთახს (16 კვ.მ.). მის ცოლს მარინე ზენაიშვილსაც საქართველოში ასევე აქვს მიწის ორი ნაკვეთი, ორი სახლი და ბინა“.**



ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არა მარტო ფრიად წარმატებული ბიზნესმენი და ცნობილი პოლიტიკოსია, არამედ კარგ, გონებამახვილ კალმოსნადაც არის მიჩნეული; იგი არა ერთი და ორი გახმაურებული წიგნის ავტორია. სიტყვა გვარიანად უჭრის და პირდაპირი, მოურიდებლად პირამთქმელია. ამ პირდაპირობითა და პირამთქმელობით ერთდროულად პოპულარულიც გახდა ხალხში და ამერიკელი საზოგადოების ერთი ნაწილიც აიმხედრა. ტრამპის ზოგიერთ გამონათქვამს სერიოზულად აღიქვამენ, ზოგიერთიც გაანეკდოტებულია.

ბოლოს და ბოლოს ვინ არის დონალდ ტრამპი? 2017 წლის 20 იანვრიდან ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი, უკვე ხანდაზმულ ასაკში არჩეული (70 წლისა), მან რონალდ რეიგანის შემდეგ, რომელიც 69 წლის ასაკში გახდა პრეზიდენტი, ახალი რეკორდი დაამყარა. ცნობილია როგორც ექსცენტრიული მილიარდერი, უმსხვილესი ბიზნესმენი, მედიამაგნატი, მწერალი, ჟურნალ „Time“-ის ვერსიით – „წელიწადის ადამიანი“ (2016 წ.).

ტრამპი არის სამშენებლო კონგლომერატის „Trump Orgaization“-ის პრეზიდენტი და კომპანია „Trump Entertainment Resorts“-ის დამფუძნებელი, რომელი კომპანიაც სპეციალიზდება სათამაშო და სასტუმრო ბიზნესში. ტრამპის სახელი ჰქვიათ რესტორნებს, საათებს, ტანსაცმელს, ტურისტულ საიტებს, პარფიუმერიას, ანუ ინანთეულს, ჟურნალს, ამა თუ იმ სამაგიდო თამაშს, არაყს და კიდევ ბევრ სხვა რასმე.

1996-2015 წლებში იყო „აშშ მის“ სილამაზის კონკურსის მფლობელი, თავისი თავი ითამაშა არაერთ კინოფილმში და ტელესერიალში. ამას გარდა, იგი აღმასრულებელ პროდიუსერად. მთელი 14 წლის მანძილზე (2004-2015) NBC ტელეეკრანზე უძღვებოდა რეალითი-შოუ „კანდიდატს“.

ტრამპი ეპატაჟური, ქარიზმატული, დაუოკებელი, თავდაჯერებული და იმედმოსილია, იმისთვის უცხოა პოლიტკორექტულობა. ცხოვრებაში აღმაფრენაც ბევრჯერ ჰქონია და დაცემითაც ბევრჯერ დაცემულა, მაგრამ შეუპოვრობასა და რწმენა-გულდაჯერებულობას მუდამ ფონს გაუყვანიათ. ახლაც, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილობრივი გამოყენებით, იგი თავისეულ გადაწყვეტილებებს სთავაზობს ქვეყანას, სიმარტივით და სიხისტით უპრეცედენტო ყველა იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში, რა პრობლემებსაც წააწყდა ამერიკა. ტრამპს ყოველ საკითხზე თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს, რომლის გამოთქმასაც არ ერიდება, მიუხედავად იმისა, გესიამოვნებათ თუ არა.

„ტრამპი“ გერმანული გვარია და გერმანულად გამოითქმის როგორც „ტრუმპი“. ამჟამინდელი პრეზიდენტის პაპა და ბებია ამერიკაში გერმანიიდან ჩავიდნენ. თავდაპირველად ოჯახური კაპიტალი სწორედ ამ პაპამ ჩადო – ის ფრიად წარმატებული რესტორატორი იყო კლონდაიკზე „ოქროს ციებ-ცხელების“ ჟამს.

ტრამპს ორი ძმა და ორი და ჰყავს, განსაკუთრებით სახელგანთქმულია უფროსი და მარიანა ტრამპ-ბერი – ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და შტატებში ცნობილი ნეიროფსიქოლოგისა და მწერლის დევიდ დეზმონდის დედა. დონალდ ტრამპს სამი ცოლისგან ხუთი შვილი და რვა შვილიშვილი ჰყავს.

# ბიზნესზე

***დონალდ ტრამპი** ფლობს მანჰეტენის უძრავი ქონების რამდენიმე მილიონ კვადრატულ მეტრს და მნიშვნელოვან ფიგურად რჩება აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე. 2015 წლის შედეგებისდა მიხედვით, „Forbes“-ის რეიტინგის თანახმად, ტრამპის ქონება 4,1 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. ეს 133-ე ადგილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. აბა, ახლა მოვუსმინოთ, რა ჭკუის სასწავლებელ აზრებს გამოთქვამს ეს ფრიად წარმატებული ბიზნესმენი.*

# ასე ამბობდა დონალდ ტრამპი



## ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

* * *

**რატომ** უნდა სცადოს დილეტანტმა ხელოვნების უდიდესი ნაწარმოების შეფასება, როცა არიან ისინი, ვისაც ეს პროფესიულად შეუძლია?

* * *

**ფულს** ხეებს ვერ მოასხმევინებ, მაგრამ მოიშოვებ საკუთარი ნიჭითა და ჭკუით, აგრეთვე მძიმე შრომით. ბევრისგან განსხვავებით, მე ფულის კეთების ნიჭი მაქვს, ხოლო ამ ნიჭს უეჭველად შეადგენენ ენთუზიაზმი და სამუშაოს ერთგულება, საქმიანი ეთიკა, რასაც განუხრელად ვიცავ. ამიტომ, თუ გენეტიკურ დონეზე თანდაყოლილი არა გაქვთ ფულის შოვნის უნარი, სხვა გზა არ არის, ბევრი მუშაობა მოგიწევთ.

* * *

**არის** რაღაც-რაღაცები, რომელიც გნებავთ მილიარდერისთვის აუცილებელი: ყოველ უწვრილმანეს დეტალში ჩაკირკიტება. სხვანაირად მე ჩემს ბიზნესს ვერ გავუძლვებოდი. გინდ მოიჯარესთან მოლაპარაკება თქვი, გინდ მშენებლობისთვის ადგილმდებარეობის მოკვლევა, ანდა ახალი ნაგებობის დაგეგმარება. არცრა არის ისეთი რამ, რაც ყურადღების ღირსად არ მიმაჩნდეს.

* * *

**მე** მასშტაბურად აზროვნებას მივეჩვიე. ყოველთვის, ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან. ეს სულ უბრალო ამბავია: თუკი საერთოდ რასმე ჩაუფიქრდები, აზრი მასშტაბურობას იძენს. შენც ადექი და დიდი მიზნები დაისახე. ადამიანების უმრავლესობა უმნიშვნელო კატეგორიებით სარგებლობს, რადგან წარმატების შიში აქვთ, გადაწყვეტილების მიღება აშინებთ, გამარჯვება აშინებთ. ეს კი ისეთებს, როგორიც მე ვარ, უზარმაზარ უპირატესობას ანიჭებს.

* * *

**ბევრს** აკვირვებს ჩემი მუშაობის სტილი, მე საქმიანი ქაღალდები კეისით არ დამაქვს. ვცდილობ, რომ ჩემი დღე არ გადავტვირთო შეხვედრებითა და თათბირებით. მე მუდამ ღია ვარ ახალი შესაძლებლობებისთვის, დარწმუნებული ვარ, რომ მეტისმეტად გადატვირთული განრიგი ადამიანის ფხიანობას აფერხებს და წარმოსახვას ფრთებს აკვეცს.

* * *

**ამბობენ,** რომ მე ოპტიმისტური მიდგომის ძალისა მჯერა. მართალი არც ეს არის. პირიქით, მე უფრო პესიმისტური განწყობის ძალისა მჯერა. ბიზნესის საკითხებში უკიდურესად კონსერვატიული ვარ, ძველკობურა. მორიგ გარიგებას რომ ვდებ, არცროდის არ ვივიწყებ შესაძლო ვარიანტთაგან უარესს, არ ვივიწყებ არც იმას, რა შედეგები ექნება ჩავარდნას და შევძლებ თუ არა ამ მარცხის გადატანას. არ ღირს ფიქრი გარიგების კარგ დაბოლოებაზე – კარგს იმის უნარი აქვს, რომ თვითონ იზრუნოს თავის თავზე.

* * *

**თქვენ** შეგიძლიათ, რომ მსოფლიოში ყველაზე უფრო საუკეთესო ნაწარმი გქონდეთ, მაგრამ ეს თუ კაციშვილმა არ იცის, გროშია იმისი ფასი. დედამიწის ზურგზე უთუოდ არიან მომღერლები, რომელთაც არანაკლებ ლამაზი ხმა აქვთ, ვიდრე ფრენკ სინატრას, მაგრამ არცვინ უწყის იმათი არსებობა, და სხვა რა უნდა ქნან, დგანან და თავიანთი საოცარი ხმით ყველა თავის გარაჟში ღიღინებს. დასკვნა: თუ რამ გასაყიდი გაქვთ, აუცილებელია, რომ ხალხს გააგებინოთ, რაღაც გარკვეული აჟიოტაჟი უნდა შექმნათ იმის ირგვლივ, რის ყიდვასაც სთავაზობთ მომხმარებელს.

* * *

**უმნიშვნელოა,** რამდენად გონიერი ხართ, უმნიშვნელოა, რამდენად მრავალმხრივია თქვენი განათლება და რამდენად დიდი გამოცდილება გაქვთ, ბრძენთაბრძენიც რომ იყვეთ, შეუძლებელია მარტოდმარტომ დაადგა თავი წარმატებულ ბიზნესს. უცქირეთ, უსმინეთ და შეისწავლეთ. ყველაფერი ვერ გეცოდინებათ, ვინც ყველაფრის ცოდნას იჩემებს, ის განწირულია იმისთვის, რომ არც ღვინო იყოს და არც წყალი.

* * *

**ბიზნესში** ბევრად სჯობს, რომ გიცნობდნენ როგორც უტიფარს, გინდაც თავხედს, ვიდრე ჯიუტსა და დაუყოლიებელს.

* * *

**მოგება** თუ გინდათ, კაჟივით მაგარი უნდა იყვეთ. ცხოვრება მუდმივად შემზარავი ზემოქმედების ქვეშ მოგიწევთ, მასშტაბურად და შემოქმედებითად აზროვნების შეუსწავლელად სამშვიდობოს ვერ გახვალთ, დიდ პრობლემებს ვერ გადაწყვეტთ. შეეცდებიან, რომ გაგძარცვონ და გადაგიარონ, გაგთელონ, თქვენც რაღა დაგრჩენიათ, ბრძოლითვე უნდა უპასუხოთ, ხურდა დაუბრუნოთ და კურტუმი გადაუტყავოთ. ნურავის იმედი ნუ გექნებათ, ხელს არცვინ არ წამოგაშველებთ. ეს ბრძოლა თავხელმარტომ უნდა გადაიტანოთ.

* * *

**ყოვლის** უფრო უარესი, რაც გარიგების მოჭახრაკებისას ბიზნესმენს შეუძლია, ის არის, რომ პარტნიორთ აგრძნობინოს, რა ძლიერად სურს ამ საქმის მოგვარება.

* * *

**ფინანსური** კეთილდღეობისთვის არცრა არის უფრო დანაშაულებრივი რამ, ვიდრე ჩინებული იდეის მოფიქრება და მერე ამ იდეისთვის ხორცშესასხმელად მოუცლელობა.

* * *

**გამდიდრების** ერთადერთი ხერხი რეალიზმი და უკიდურესი პატიოსნებაა. რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოსცილდეთ ილუზიას. სამყარო, რომელიც მხოლოდ ჟურნალების ფურცლებსა და ტელევიზორების ეკრანებზე არსებობს, არცრა ისე იოლი არ არის, როგორც გვარწმუნებენ.

* * *

**ტყუილად** გვგონია, ვითომ ცივილიზებულნი ვართ. სინამდვილეში მსოფლიო სასტიკია, ადამიანები კი – შეუბრალებელნი. იქნებ გაგიღიმონ კიდეც, მაგრამ ღიმილში თქვენი მოკვლის სურვილს მალავენ. მტაცებელნი ჯუნგლებში ერთმანეთს გამოკვებისთვის ხოცავენ და მხოლოდ ადამიანები იმეტებენ ერთმანეთს სასიკვდილოდ თავშექცევისთვის. ის კი არა, თვით მეგობრებსაც ახარებთ ერთმანეთისთვის ზურგში დანის ჩაცემა: ამით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი სამუშაო უნდათ, თქვენი სახლი, თქვენი ფული, თქვენი ცოლი და თქვენი ძაღლი. მტრებზე ხო, ნულა იტყვით! მოკლედ, თავის დაცვა უნდა შეგეძლოთ.

* * *

**ადრე** ვამბობდი: „იპოვე საუკეთესონი და მიენდე“. ჟამთა სვლასთან ერთად იმდენი ფოკუსი და მაქინაცია ვიხილე, რომ ახლა ვამბობ: „იპოვე საუკეთესონი, ოღონდ არ მიენდო“. არ მიენდოთ თუნდაც იმიტომ, რომ თუკი მაინცდამაინც კარგად არ ერკვევით, რაც თქვენ გარშემო ხდება, ისე გაგატყავებენ, თითზე გადასახვევს არაფერს არ დაგიტოვებენ.

* * *

**რაგინდარა** „კარგი დროება“ ნიადაგ თქვენი შეუპოვარი შრომისა და წარსულში მუდმივი უკუგების შედეგია. რასაც დღეს აკეთებთ, ის ხვალინდელი შედეგების საწინდარია. თუ გსურთ, რომ ხვალაც მოიმკათ მოსავალი, ყოველდღე თესეთ თესლი! თუ ერთი წუთითაც მოადუნებთ კონცენტრაციას, ეგრევე უკუსვლას დაიწყებთ.

* * *

**მეტი** ყურადღება დაუთმეთ თქვენს ფინანსების სფეროში წვრილ სიდიდეებს – ცენტებს, პროცენტებს. ნელ-ნელა თუ თანდათან დაგროვებით ეს წვრილი ფული უდიდეს გავლენას ახდენს თქვენს ბიუჯეტზე. ჩემმა მშობლებმა პატარაობიდანვე მიმაჩვიეს მომჭირნეობას, ყაირათიანობას, ჩემი აზრით, ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თვისებაა იმისთვის, ვინც ფინანსების მართვით არის დაკავებული.

**(გაგრძელება იქნება)**

**ფინანსები და ბიზნესი საშიშ წყალთა შესაკრებელია, სადაც ღორმუცელა ზვიგენები აღმა-დაღმა დაეძებენ მსხვერპლს. ამ ამბავში ცოდნა ძალისა და ძალაუფლების გასაღებია. ნუ დაგენანებათ ფული იმისთვის, რათა გაახმიანოთ, რასაც საქმიანობთ. თუ არადა, მავანი და მავანი ძალიან მალე „გაგსვრით“. ფინანსური უწიგნურობა უზარმაზარი პრობლემაა, ადამიანები მუდმივად მხოლოდ იმიტომ ეხვევიან ხათაბალაში, რომ არ მომზადებულან საჭიროებისამებრ.**





კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი

# ტარიელ ონიანი ქურდების „გენერალისიმუსი“

**გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნოს“ მონაცემებით, რომლის პუბლიკაციის შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ, 2018 წლის მარტში რუსეთში 400-ზე მეტი აქტიური „გვირგვინოსანი“, „კანონიერი“ ქურდი იყო. მათგან 100 ამჟამად პატიმრობაშია, 20-ზე ძებნაა გამოცხადებული, 30-ის საქმე ძიებაშია. ქურდული სამყაროს „გენერლების“ ეროვნული შემადგენლობა ასეთია: მათგან 56 პროცენტი ქართველია, 12 პროცენტი — რუსი, 7-7 პროცენტი — სომეხი და ეზდი, 4 პროცენტი — აზერბაიჯანელი, 3 — აფხაზი, 2-2 — ჩეჩენი და ებრაელი.**

ცოტა ხანში კი პატიმრობის 10-წლიანი ვადა უმთავრდება რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტს **ტარიელ ონიანს**, რომელიც სასჯელს ორენბურგის ოლქის საგანგებო რეჟიმის კოლონია „შავ დელფინში“ იხდის. თანამოძმენი მას სულაც არა გენერლად, არამედ გენერალისიმუსად მიიჩნევენ და როგორც კი საპატიმროს დატოვებს, თვალით უხილავი კრიმინალური ცუნამი მთელ რუსეთს გადაუვლის.

ორი სხვა კრიმინალური „გენერალისიმუსი“ — **ვიაჩესლავ ივანკოვი**, მეტსახელად „იაპონჩიკი“ (2009 წ.) და **ასლან უსოიანი**, მეტსახელად „დედ ხასანი“ (2013 წ.), თავად ტარიელის (ტაროს) ბრძანებით მოკლეს, რასაც ერთხმად გაიძახიან როგორ ოპერატიული მუშაკები, ასევე კრიმინალები. მეოთხე „გენერალისიმუსი“ — **შაქრო კალაშოვი (მოლოდოი)**, ამჟამად დაპატიმრებულია. ყველა დანარჩენი ქურდი კი ტაროზე ორი-სამი „წოდებით“ დაბლა დგას.

აქედან გამომდინარე, სტატიის ავტორის **ალექსი ჩელნოკოვის** აზრით, ქვეყანა მეოთხე ქურდული ომის პირზეა. პირველი და ყველაზე სისხლიანი 1940-იანი წლების პირველ ნახევარში იყო, როცა ერთმანეთს „კანონიკური“ და ფრონტელი ქურდები დაერივნენ. მეორის პროვოცირება 1950-იან წლებში ნიკიტა ხრუშჩოვმა მოახდინა, რომელმაც სსრ კავშირის ყველა „კანონიერი“ ქურდი „ხელახლა აღსაზრდელად“ ერთ ზონაში შეაყრევინა, ვითომ ერთმანეთის „პარაშების“ გატანას აიძულებდნენ. მესამე ომი 1990-იან წლებში იყო, როცა ქურდული კოდექსი მკვეთრად გაუფასურდა, ქურდული გაგებები აირია და პროფესიულ ქურდებსა და ეროვნული ელიტების წარმომადგენლებს შორის ზღვრის წაშლა დაიწყო. ამ ომის სათავეებთან სწორედ ოთხი ზემოდასახელებული „გენერალისიმუსი“ ქურდი იდგა, რომელთაგან დღემდე ბედი, როგორც ვხედავთ, ტარიელ ონიანს სწყალობს.

ტარიელ ონიანი ქურდული ორდენის უდავოდ გამორჩეული წარმომადგენელია, რომელმაც საკუთარი „ამქრისა“ და მოგების მიღების ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობის დეკლარირება მოახდინა და 2006 წლის აგვისტოში პირველმა ოფიციალურად დაარეგისტრირა საკუთარი კომერციული ფირმა, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ექსპრესტრეიდი“. მისი საწესდებო კაპიტალი მეტად მოკრძალებული იყო — მილიონი რუბლი, მიზანს კი „საწვავით, მადნეულით, ლითონებითა და ქიმიური ნივთიერებებით“ საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენდა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ტარიელ ონიანმა ქურდული კოდექსის ელემენტები აქაც დაიცვა და გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. 2009 წლის აპრილში ფირმა დაიხურა, თავად ტარიელ ონიანი ადამიანის გატაცების ბრალდებით დააკავეს და გაასამართლეს, მოსკოვში კი მისი პარტნიორი, რუსეთში საქართველოს ელჩის ყოფილი მრჩეველი გელა ცერცვაძე დარჩა, რომელმაც იქ კომერციულ საწარმოთა ფართო ქსელი შექმნა.

ტარიელ ონიანი 1958 წელს ქვემო სვანეთში, ლენტეხში, მეშახტის ოჯახში დაიბადა (მამა ტყიბულის ერთ-ერთ მაღაროში დაიღუპა). იგი ტყიბულს მუდამ მშობლიურ ქალაქად თვლიდა. ისე კი, საგულისხმოა, რომ იმ წლებში 250-მილიონიან საბჭოთა კავშირში კანონიერი ქურდების ორი მესამედი 4-მილიონიანი საქართველოდან იყო. ამ ფონზეც კი ტარიელ ონიანი გამორჩეული იყო: ყაჩაღობისთვის ციხეში იგი პირველად 17 წლის ასაკში მოხვდა, ერთი წლის შემდეგ ქუთაისის ციხეში იგი 12 კანონიერი ქურდის თანდასწრებით ქურდად აკურთხეს. დღესდღეობით მას პატიმრობის რვა ვადა აქვს მოხდილი, 1980 წლიდან მოსკოვში ცხოვრობს და მეტად გავლენიან ქუთაისურ დაჯგუფებას თავკაცრობს.

1992 წელს იგი ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი ესპანეთში გადავიდა, სადაც სამშენებლო ბიზნესს მიჰყო ხელი.

1990-იანი წლებიდან მას მეგობრული კავშირები ჰქონდა **ბორის ბერეზოვსკისთან** და **ბადრი პატარკაციშვილთან**. ამ სამეულმა და მათთან ერთად კიდევ ერთმა კანონიერმა ქურდმა მეტსახელად **„მელიამ“ (მერაბ გოგიამ)** დააფინანსეს ხელისუფლების სათავეში **მიხეილ სააკაშვილის** მოსვლა. ერთ დროს სააკაშვილი ონიანს ესპანეთში ხშირად სტუმრობდა, მაგრამ შემდეგ უთანხმოება მოუვიდათ, რის მიზეზიც ერთობლივ ბიზნესში წილების განაწილება გახდა. არსებული ცნობით, რაღაც დროის მანძილზე ტარიელ ონიანი საქართველოს პრეზიდენტის გარემოცვაში რუსეთის გავლენის აგენტი, ასევე უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდების ფასეული წყარო იყო. თუმცა თავისი ფეთქებადი ხასიათის გამო მას ჯერ სააკაშვილთან მოუხდა უსიამოვნება, შემდეგ კი „დედ ხასანთან“ ომში მოკავშირეთა საკმაო ოდენობის თავმოყრა გაუჭირდა.

ესპანეთში კანონიერმა ქურდებმა უძრავი ქონების შეძენა დაიწყეს, ფულის გათეთრების არხზე პასუხისმგებელი „შაქრო მოლოდოი“ იყო, მისი თანასწორუფლებიანი პარტნიორები კი დედ ხასანი და ტარიელ ონიანი გახლდნენ. ეს სამეული ისე შეხმატკბილებული იყო, რომ მალე მათთან სხვა რუსეთულმა დაჯგუფებებმაც დაიწყეს ურთიერთობა. 2005 წელს ესპანეთის პოლიციამ მათ წინააღმდეგ უპრეცედენტო ოპერაცია „ბზიკი“ ჩაატარა: ტარიელ ონიანმა მიმალვა მოასწრო, თუმცა სამართალდამცავებმა მისი 17 წლის ქალიშვილი დააკავეს. ამის შემდეგ ონიანი მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მალე რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. 2006 წლის აპრილში იგი პირადად მივიდა რუსეთში საქართველოს საკონსულოში საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების თხოვნით.

საბჭოთა კავშირში არც ერთ კანონიერ ქურდს არ შეეძლო სუკ-თან განსაკუთრებული ურთიერთობების გარეშე ყოფილიყო. სახელმწიფო უშიშროებას ავტორიტეტული ქურდები კრიმინალური სამყაროს გასაკონტროლებლად სჭირდებოდა. კანონიერი ქურდებიც იძულებული იყვნენ უშიშროებასთან ეთანამშრომლათ, რის სანაცვლოდ ზოგჯერ ერთმანეთთან ბრძოლაში გარკვეულ მხარდაჭერას იღებდნენ. ეს კონტროლი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დაიკარგა, მაგრამ 1994-95 წლებში უშიშროებამ შეძლო მისი აღდგენა. უშიშროების თანამშრომლის სერგეი კ-ს ინფორმაციით, ყველა ზემოჩამოთვლილი კანონიერი ქურდი იძულებული იყო უშიშროების სამსახურთან ეთანამშრომლა.

1990-იანი წლების მიწურულს „დედ ხასანისა“ და ტარიელ ონიანის იმპერიების ბიზნესი რუსეთში იმდენად გაიზარდა, რომ ორივეს 2-2 მილიარდი დოლარის ქონება დაუგროვდა, მაგრამ სიმდიდრის ზრდასთან ერთად მტრების რიცხვმაც იმატა, რის გამოც პირად დაცვაზე უზარმაზარი სახსრები იხარჯებოდა. ამიტომაც თითქმის ყველანი რუსეთიდან საცხოვრებლად სამხრეთ ევროპაში გადაბარგდნენ, მაგრამ ხუთწლიანი უდარდელი ცხოვრების შემდეგ იქაური პოლიციური დევნისგან თავის ასარიდებლად კვლავ რუსეთში დაბრუნება მოუწიათ. არაბეთის საემიროებში მხოლოდ „შაქრო მოლოდოი“ წავიდა, თუმცა 2006 წელს იქაურმა ხელისუფლებამ ისიც დააპატიმრა და ესპანეთს გადასცა. კალაშოვის დაპატიმრებას მესამე ქურდული ომი მოჰყვა, რომელშიც ოთხიდან ორი „გენერალისიმუსი“ დაიღუპა. ამ ჯერზე განხეთქილების ვაშლის როლი შაქროს ბიზნესის მართვა და ფულის გათეთრების არხზე კონტროლი გახდა, თავად „შაქრო მოლოდოიმ“ თავისი უახლოესი მეგობარი **ლაშა შუშანაშვილი** („ლაშა რუსტავსკი“) აირჩია, მაგრამ ის „დედ ხასანის“ კლანის წევრი იყო, რაც ტარიელს არ აწყობდა. მოკლედ მათ მეგობრობას ბოლო მოეღო და ომიც დაიწყო. ტარიელ ონიანმა ლონდონში მოაწყო ბადრი პატარკაციშვილისა და საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტის უფროსის, გენერალ **ირაკლი კოდუას** შეხვედრა, რომელზეც მას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჩამოგდება შესთავაზეს. ამ შეხვედრაზე ფარული ვიდეოჩაწერა მიმდინარეობდა, რომლის კადრები მოგვიანებით საქართველოს ტელევიზიით აჩვენეს.

2008 წელს პოდმოსკოვიეში ტარიელ ონიანმა წარმომადგენლობითი ქურდული „სხოდნიაკი“ ჩაატარა, რომელზეც ლაშას ქურდული გვირგვინი ჩამოართვეს, რაც „დედ ხასანმა“ არ აღიარა. მეტიც, 2009 წლის გაზაფხულისთვის უპირატესობა უფრო მრავალრიცხოვანმა „დედ ხასანის“ კლანმა მოიპოვა, რომლის მხარე „იაპონჩიკმაც“ დაიჭირა. ამის გამო ონიანის პოზიციები შეირყა და საქმე იქამდე მივიდა, რომ 2009 წელს იგი ბიზნესმენის გატაცებისა და 250 ათასი დოლარის გამოძალვისთვის ციხეში ჩასვეს. ერთი თვის შემდეგ კი, 2009 წლის 28 ივლისს სასიკვდილოდ დაჭრეს ვიაჩესლავ ივანკოვი („იაპონჩიკიც“), რომელიც ორ თვეში გარდაიცვალა.

2009 წლის აგვისტოში მოსკოვის ციხე „მატროსკაია ტიშინაში“ „დედ ხასანმა“ 50-ზე მეტი ქურდის „სხოდნიაკი“ მოაწყო, სადაც ტარიელ ონიანს ქურდის გვირგვინი ჩამოართვეს, თანაც მასზე ეგრეთ წოდებული „პროგონი“ გამოუშვეს, რომელიც ქურდული შეკრების წერილობით მიმართვას წარმოადგენს. ესაა 70-სტრიქონიანი, ბეჭდური ასოებით ხელით დაწერილი ბარათი, რომლის ნახევარს შეკრებაში მონაწილე ქურდების მეტსახელები წარმოადგენს. მისი შინაარსი ასეთია (სტილი დაცულია):

**„ქურდებს სიცოცხლე! მშვიდობა და კეთილდღეობა სახლსა ჩვენსას საერთოსა და კეთილდღეობა სვლასა ჩვენსა ქურდულსა! წინამდებარე საკურსოს დაწერის მიზეზი შემდეგი გარემოება გახდა, კერძოდ კი გაყენებთ კურსში, წესიერო ტუსაღებო, რომ მტცში („მოსკოვსკაია ტიშინა ცენტრალი“ — რედ.) არის კაცი, მას ჰქვია ტარიელ ონიანი. ქურდების გადაწყვეტილებით ის „ბო(ზ)ია“. ეს კაცი თუ თქვენთან ბინაზეა, ანდა მას შეხვედებით, მოეპყარით შესაბამისად. ამით შემოვიფარგლებით და გისურვებთ თქვენ, წესიერო ტუსაღებო, ყოველივე ნათელს უფლისაგან“.**

იხ. მე-11 გვ.

**1990-იანი წლებიდან მას მეგობრული კავშირები ჰქონდა ბორის ბერეზოვსკისთან და ბადრი პატარკაციშვილთან. ამ სამეულმა და მათთან ერთად კიდევ ერთმა კანონიერმა ქურდმა მეტსახელად „მელიამ“ (მერაბ გოგიამ) დააფინანსეს ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის მოსვლა. ერთ დროს სააკაშვილი ონიანს ესპანეთში ხშირად სტუმრობდა, მაგრამ შემდეგ უთანხმოება მოუვიდათ, რისი მიზეზიც ერთობლივ ბიზნესში წილების განაწილება გახდა.**



ციხეში გადაღებული კანონიერი ქურდების ფოტო: ტარიელ ონიანი, მეტსახელად „ტარო“ (ცენტრში), ზაქარია კალაშოვი მეტსახელად „შაქრო მოლოდოი“ (მარჯვნივ)

ГРУЗИНСКОЕ ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО

GEORGIAN GENEALOGICA SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34 E-mail: iurichikovani@gmail.com

№ 2(202) 5 მარტი 2018 წ

# განცხადება

ვთვლი თავს ვალდებულად, შევეხო კიდევ ერთ უსიამო ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია ჩემს ყოფილ მოადგილე იოსებ ბიჭიკაშვილთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი, როგორც გენეალოგიის მკვლევარის მიერ შესწავლილი 110-ზე მეტი გვარიდან ბაგრატიონები იყო ის ერთადერთი გვარი, რომლის გენეალოგიის შედგენაზეც ი.ბიჭიკაშვილი და მე მუდმივად ვთანამშრომლობდით 1993 წლიდან 2015 წლის აგვისტომდე.1984-დან 1993 წლამდე და 2015 წლის აგვისტოს შემდეგ კი ამ გვარის გენეალოგიას სრულიად დამოუკიდებლად ვადგენდი და ახლაც ვადგენ. რაც შეეხება დანარჩენი გვარების გენეალოგიას, აქ ჩვენი თანამშრომლობა იყო მხოლოდ ეპიზოდური და ასეთ შემთხვევაშიც მისი მონაწილეობა ფიქსირდებოდა ყველა გამოცემაში. ბაგრატიონების გვართან დაკავშირებით ვენდობოდი ი.ბიჭიკაშვილის დასკვნებს, ვინაიდან სწორედ იგი ხელმძღვანელობდა „ბაგრატოვანთა სახლის" ისტორიულ განყოფილებას და 1990-იანი წლებიდან იკვლევდა ამ გვარის ისტორია-გენეალოგიას. 2013 წელსაც ასე ვენდე მის ინფორმაციას აზნაურ დავითიშვილების თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან წარმომავლობის თაობაზე და დავეთანხმე. მაშინ „ბაგრატოვანთა სახლის" ნდობით აღჭურვილი პირის, ამავე სახლის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ ბაგრატიონებისავე გვარის შესახებ ისტორიის კვლევაში ეჭვის შეტანა არც კი მიფიქრია. რომ არა გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის შესახებ ისტორიული ცნობა (შედგენილი, ი.ბიჭიკაშვილისავე ინფორმაციით, მის მიერ), რომელიც აცდენილია რეალობას, რაც საარქივო მასალების კვლევის საფუძველზე დავადასტურე, შესაძლოა არც აზნაურ დავითიშვილების შესახებ მის მიერ გაკეთებული დასკვნა გადამემოწმებინა, მაგრამ გრიგოლ მალანიას სახელზე გაცემულმა ცნობამ და მასზე დატანილი ინფორმაციის უსაფუძვლობამ მიბიძგა ამისკენ. გადამოწმების შესაძლებლობა კი მომცა იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ 2016 წელს გამოცემულმა ნაშრომმა „ბაგრატიონები - საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია". აღნიშნული წიგნის თანდართული ტაბულებიდან მე-16 მთლიანად ეძღვნება აზნაურ დავითიშვილებს და აქ ისინი ტაბულის, კომენტარების და ბიბლიოგრაფიის დასათაურებაშიც მოხსენიებულ არიან აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად (წიგნის 259-ე და 263-ე გვ.). ამას ი.ბიჭიკაშვილი ხსნის იმით, რომ ვინმე აზნაური იესე დავითიშვილი (ტაბულა 16-ში №2/1), თითქოსდა, არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი. ამის დასტურად კი მითითებული აქვს წყაროები, ჩემი მხრიდან რომელთა შესწავლის შედეგიც ასეთია:

მტკიცებულებად დასახელებული ოთხი წყაროდან ერთი არის ს.ბიჭიკაშვილის ხელნაწერი, დანარჩენი სამიდან კი ვერცერთი ვერ ასაბუთებს მოსაზრებას, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე, რომელიც, ი.ბიჭიკაშვილის მიერ ამ ნაშრომით შემოთავაზებული ტაბულა 16-ის თანახმად, სათავეს უნდა უდებდეს ამავე ტაბულაში აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად მოხსენიებულ პირთა მთელ წყებას (107 პიროვნებას).

მაშასადამე, მხოლოდ იმ წყაროების საფუძველზე, რომელიც მოხმობილია ი.ბიჭიკაშვილის მიერ, ვერ დასტურდება მოსაზრება, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე. თუ ვერ მტკიცდება ტაბულა 16-ის პირველივე მონაცემი იმის შესახებ, რომ იესე დავითიშვილი (ტაბულაში №2/1) არის თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი, მაშასადამე ვერც იმ დასკვნას გავაკეთებ, რომ ამ ტაბულაში შემავალი სხვა ფიგურანტები (თვით იესეს შთამომავლები: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ.) არიან თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შთამომავლები ანუ ბაგრატიონ-დავითიშვილები. **ამდენად, ზემოთხსენებული წიგნის ავტორის მიერ, მითითებული წყაროების საფუძველზე, მე-16 ტაბულაში შეყვანილ პირთა მიკუთვნება ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულოსთან არ მიმაჩნია მართებულად**. აღნიშნულ თემას, ანუ ამ სამი და ი.ბიჭიკაშვილის მიერ დასახელებული სხვა წყაროების შესწავლის შედეგებს, საისტორიო და საარქივო მონაცემების საილუსტრაციო ფოტოებთან ერთად, განვიხილავ ვრცლად ნაშრომში, რომელიც მალე გამოქვეყნდება.

**ამდენად, დავუშვი შეცდომა, როდესაც გადაუმოწმებლად, გაუმართლებლად წინდაუხედავად ვენდე ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების" თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, რიგ გამოცემებში ჩემი თანაავტორის, „ბაგრატოვანთა სახლის" ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, ამავე სახლის (და არა მარტო მათ) მიერ ბაგრატიონთა გვარის ისტორია-გენეალოგიის ოფიციალურად აღიარებული მკვლევარის, ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ და დავეთანხმე მას. ვაღიარებ ჩემს მიუტევებელ შეცდომას და საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მენდო ამ საკითხში, ვუხდი ბოდიშს.**

"ქართული გენეალოგიური

საზოგადოების" თავმჯდომარე ი. ჩიქ... იური ჩიქოვანი

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО

GEORGIAN GENEALOGICAL SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34 E-mail: iurichikovani@gmail.com

№ 3(203) 5 მარტი 2018 წ

# განცხადება

როგორც ჩვენი საზოგადოების სახელით ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაციიდან გახდა ცნობილი, გაიზარდა ინტერესი ჩვენი საზოგადეობის მიერ გაცემული დოკუმენტების, ცნობებისა თუ გენეალოგიური ფრაგმენტების მიმართ. ცხადია, ეს მხოლოდ მისასალმებელი ტენდენციაა, თუმცა, ამავდროულად მავანსაც გაუჩნდა მეტი მოტივაცია ჩვენი საქმიანობის კოპირების თუ ჩვენი საზოგადოების სახელის ბოროტად გამოყენების. ერთი სიტყვით, ზოგჯერ ადგილი აქვს უმსგავსო ქმედებებს, რასაც ჩვენი საზოგადოება კატეგორიულად ემიჯნება.

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ შეიძლებოდა გაჩენილიყო ჩემგან გადაუმოწმებელი, დაუსაბუთებელი ცნობები 2013 - 2015 წლებში, როდესაც, შესაძლოა, გარკვეულმა პირებმა საზოგადოების ადგილმდებარეობის შეცვლის პროცესით გამოწვეული შესუსტებული კონტროლით ბოროტად ისარგებლეს.

მაგალითად, ჩემთვის შემთხვევით გახდა ცნობილი ერთი ასეთი დოკუმენტის არსებობის შესახებ, რომლის შინაარსსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. აქედან გამომდინარე, არ ვარ დაზღვეული, რომ არ არის სხვა მსგავსიც (შესაძლოა არა ერთი). ამიტომ, საზოგადოებაში გადავწყვიტეთ საჯარო გავხადოთ იმ ცნობების რეკვიზიტები, რომლებიც ნამდვილად ჩვენს მიერ არის გაცემული ამ პერიოდში; შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია თავად გადაამოწმოს, არის, თუ არა მის ხელთ არსებული დოკუმენტი ნამდვილი. აი იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა საფუძვლიანობაშიც, გადამოწმების შემდეგ, დავრწმუნდი:

ნუმერაცია – დათარიღება:

**№171** (გაც. 19.07.2013); **№172** (გაც. 21.12.2013); **№173** (გაც. 01.03.2014); **№174, №175** (გაც. 21.10.2014); **№176** (გაც. 24.10.2014); **№177, №178, №179, №180, №181** (გაც. 03.11.2014); **№182** (გაც. 17.02.2015); **№183** (გაც. 12.05.2015); **№184** (გაც.16.05.2015); **№185, №186** (გაც.31.10.2015); **№187** (გაც. 10.11.2015);

(ცნობების ადრესატების ვინაობა დაცული და მითითებულია მხოლოდ საზოგადოების სარეგისტრაციო ჟურნალში)

**ამრიგად, თუ თქვენს ხელთ არსებული ცნობა გაცემულია 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და არ ემთხვევა ზემოთმოყვანილ რეკვიზიტებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ, შეიძლება სრულიად სანდოდ გამოიყურებოდეს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის არ ასახავს რეალობას, ამიტომ გთავაზობთ მარტივ გამოსავალს:**

**ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ კიდევ ერთ პროექტს, რომლის ფარგლებში ყოველგვარი საფასურისა თუ დამატებითი სამეცნიერო კვლევის გარეშე, შევადარებთ თქვენს ხელთ არსებულ გენეალოგიურ ცნობას ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო მონაცემებს და დოკუმენტებს. ამიტომ, ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ამ განცხადების გამოქვეყნებამდე გაცემულ ცნობებს, ვთავაზობთ წარმოადგინოს იგი საზოგადოებაში ხელახალი რეგისტრაციისათვის.**

**ვალდებული ვართ გაუწყოთ: იმ შემთხვევაში, თუ ცნობას ამ ხელახალი დადასტურების გარეშე გამოიყენებთ, გამოაქვეყნებთ ან სხვა პირებს წარუდგენთ და იგი არ აღმოჩნდა ჩვენს მიერ გაცემული ანუ რეგისტრირებული ჩვენს ბაზაში, მაშინ ვერ უზრუნველვყოფთ თქვენთვის ცნობის სისწორის დაცვას მესამე პირების წინაშე. სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ აქტიურად გამოიყენოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ეს დამატებითი პროცედურა.**

"ქართული გენეალოგიური

საზოგადოების" თავმჯდომარე ი. ჩიქ... იური ჩიქოვანი




**რუსეთი სირიაში დაქირავებული რუსი მებრძოლების გადასროლას საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით ახორციელებს. ამის შესახებ ცნობილი ხდება საagentო როიტერის სპეციალური ჟურნალისტური გამოძიებიდან. მოსკოვი ამ საიდუმლო ოპერაციებში სირიის კერძო ავიაკომპანია Cham Wings Airlines-ის ჩარტერულ ფრენებს იყენებს, რომლებიც ოფიციალურად არსად ფიქსირდება.**

თვითმფრინავების მეთვალყურეობის ონლაინ სისტემებმა, როგორიც fl-ightradar 24-ია, 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის მარტის ჩათვლით სულ მცირე 51 ასეთი საიდუმლო რეისი დათვალეს. სქემის მიხედვით, სირიული ავიაკომპანია Cham Wings-ის Airbus A 320 ტიპის სამოქალაქო ხომალდები რუსეთის ქალაქ როსტოვის „პლატოვის" საერთაშორისო აეროპორტში ღამით, იმ დროს მიფრინავენ, როცა აეროპორტში სხვა რეისები არ სრულდება და თითქმის მთლიანად ცარიელია.

„პლატოვის" აეროპორტიდან Airbus A320-ებს, რომლებიც 180-მდე მგზავრს იტევენ, სირიის დედაქალაქ დამასკოს ან ლატაკიას აეროპორტებში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორი კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის" დაქირავებული რუსი მებრძოლები გადაჰყავს. როიტერის ჟურნალისტმა ერთ-ერთი ასეთი საიდუმლო რეისის გადაღება „პლატოვში" იანვრის ბოლოს შეძლო.

როსტოვიდან აფრენილი Cham Wings-ის ხომალდები ოთხი ქვეყნის: საქართველოს, სომხეთის, ირანისა და ერაყის საჰაერო სივრცეს კვეთენ და სირიაში ასე ხვდებიან. თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი **ამირან სალუქვაძე** ამბობს, რომ ისეთ რთულ და შენიღბულ სქემას, როგორიც სამოქალაქო საჰაერო რეისის სამხედრო მიზნით გამოყენებაა, საქართველო საკუთარი რესურსებით ვერ გაუმკლავდება: **„რუსეთი ტვირთის ზუსტ ხა-**

## ჩინეთი ირანისთვის რეაქტორების აშენებას გეგმავს

**პეკინი** და თეირანი ჩინელი ექსპერტების დახმარებით აწარმოებენ მოლაპარაკებებს, რამდენიმე მცირე ბირთვული რეაქტორების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა, ირანმა საკუთარი ბირთვული წყალქვეშა ნავების შექმნისთვის გამოიყენოს.



გამოცემა — „ars"-ის ჟურნალისტებმა არსებული ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მოლაპარაკებების თაობაზე ირანის კანონმდებლისგან მოჟტაბა ზონოუსგან შეიტყვეს, რომელიც ირანის ბირთვული ენერგეტიკის კომიტეტს ხელმძღვანელობს.

ზონოუმ განაცხადა, რომ ჩინეთის მხარეს იდეა მოეწონა და საკითხი უკვე საჭიროებს უმაღლეს დონეზე გადაწყვეტას.

ეს განცხადება აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დაპირების ფონზე იქნა გაჟღერებული, რომ აშშ გამოვიდოდა ბირთვული შეთანხმებიდან, რომელიც იქნა დადებული ირანთან, რადგან ირანი ამ დაპირებას არღვევს.

# რუსეთის სამხედრო რეფორმა, ცდა და შეცდომა



**საქართველოს მოსახლეობის 41 პროცენტი (NDI-ის მონაცემებით) თვლის, რომ სამხედრო თვალსაზრისით რუსეთი ამერიკაზე ძლიერია, თუმცა ეს მცდარი წარმოდგენაა. ერთი ათწლეულის თავზე, მართალია, რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები, მიუხედავად სისუსტეებისა, გაუმჯობესდა, მაგრამ მოსკოვი ამერიკას და ნატოს, ჯერ ისევ ბევრად ჩამორჩება. სწორედ ამიტომ, კრემლი, დასავლეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ტაქტიკური გამარჯვების მოპოვებას შეეცდება.**

საქართველოს ომი გახდა ღია მიზეზი იმისა, თუ რის გამოც მათ ძალიან ფართო თავდაცვის პროგრამა განახორციელეს, — დარა მასიკოტი.

მისი სტრატეგია, დასავლეთის წინააღმდეგ დაპირისპირების შემთხვევაში, სწრაფი თავდასხმის განხორციელება იქნება, რომელიც მას საბრძოლო ველზე უპირატესობას მისცემს. ის შეეცდება კონფლიქტის იქამდე გადაჭრას, სანამ მასზე ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირება გრძელვადიან ომში გარდაიქმნება. რენდის კორპორაციის მკლევარების თქმით, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა დაინახავს, რომ კონფლიქტი გარდაუვალია, მოსკოვი მიჰყვება პრინციპს, რომ „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა“ და სამხედრო ინიციატივას აიღებს.

**„ნატოსთან შედარებით (არახელსაყრელი მდგომარეობიდან გამომდინარე)... გრძელვადიანი კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის, რუსეთს სურს სწრაფად იმოქმედოს და შემდეგ სწრაფადვე დაასრულოს შეტევა. ეს ტაქტიკა ვიხილეთ ყირიმის მაგალითზე. ასევე, ამის მაგალითია საბჭოთა პერიოდში ავღანეთში შეჭრის პირველი ეტაპი და 1968 წელს პრაღაში შეჭრა“,** — ამბობს სკოტ ბოსტონი რენდის კორპორაციიდან.

პროგრესის მიუხედავად, რუსეთის მიერ წარმოებული ომი დასავლეთის პრაქტიკისგან განსხვავდება. იმ იარაღის 90 პროცენტი, რასაც მოსკოვი სირიაში იყენებს, მაღალი სიზუსტის არაა, რასაც უფრო მეტი მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილი მოსდევს, თუმცა ეს კრემლისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მიმომხილველების ნაწილი ფიქრობს, რომ მოსკოვის მიზანი დაბალი ფასის გადახდით მაღალი ეფექტურობის მიღწევაა ისევე, როგორც ეს ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ვიხილეთ.

## სამხედრო რეფორმა პენსიონერების ხარჯზე

**სანქციებისა და ნავთობის ფასების ვარდნის მიუხედავად, რუსეთი აგრძელებს სამხედრო მოდერნიზაციას. საჯარო მონაცემები რუსეთის ბიუჯეტში თავდაცვის წილს (2016 წლის მონაცემებით 5 პროცენტი) რეალურად ვერ ასახავს, რადგან ხშირ შემთხვევაში სამხედრო ხარჯები ბიუჯეტის სხვადასხვა კატეგორიებიდან გაიცემა.**

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ რუსეთი თავდაცვაზე ფედერალური ბიუჯეტის მესამედს ხარჯავს. სამხედრო ძალების მოდერნიზაციის პროგრამის დასრულებას პრეზიდენტი პუტინი 2020 წლისთვის გეგმავდა. მისი თქმით, 2020 წლისთვის შეიარაღების 70 პროცენტი უნდა განახლებულიყო. 2017 წელს მან განაცხადა, რომ პროგრამა 2025 წლამდე გაგრძელდება.

რეფორმა თავდაცვის ძირითად სექტორებს — საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებს მოიცავს. დღეისთვის, მოსკოვს საჰაერო, სახმელეთო ძალების და საზღვაო ქვეითთა 60 ბრიგადა ჰყავს. ვაშინგტონში ამბობენ, რომ რუსეთის სახმელეთო შენაერთები მობილიზაციაზე დაფუძნებული არმიიდან უფრო მცირე რაოდენობის საბრძოლო მზადყოფნაში მყოფ შენაერთად გარდაიქმნა. ამასთან, დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე, კრემლმა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საჰაერო თავდაცვის რადიკალური რეფორმა გაატარა. რუსეთის გაუმჯობესებული შესაძლებლობები სირიის ოპერაციის დროს გამოჩნდა.

**„რუსეთმა... რადიკალური გარდაქმნები, სამხედრო რეფორმა და პარალელური მოდერნიზაცია გაიარა. ჩვენ ეს ვიხილეთ ყირიმში 2014 წელს, აღმოსავლეთ უკრაინაში და რუსეთის კამპანიის დროს სირიაში. დღეს ეს განსხვავებული სამხედრო ძალაა, უფრო მზა, პროფესიული და უკეთ გაწვრთნილი. რა თქმა უნდა, რუსეთის ქცევა დიდ კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ ეს პოლიტიკური ნაწილია და არა სამხედრო. ვგულისხმობ, რომ ომის წარმოების მათი პრაქტიკა პოლიტიკური ხედვის ნაწილია. როგორც რუსეთის სიირიის ოპერაციიდან ვხედავთ, რუსეთის სამხედრო ძალები, მათი სისუსტეების მიუხედავად, პოლიტიკური ყურადღების და ფინანსური ინვესტიციის მეშვეობით რადიკალურად გარდაიქმნა“,** — ამბობს მაიკლ კოფმანი.

მოდერნიზაციის პროგრამის მიღმა, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ბევრი არაეფექტური ქვედანაყოფი და ტექნიკა დარჩათ. ერთ-ერთი ამის მაგალითი ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვის“ თავგადასავალია. ამასთან, მოსკოვი იყენებს კერძო სამხედრო კომპანიებს (მაგალითად, ვაგნერის ჯგუფს) პოლიტიკურად სარისკო სიტუაციაში, რადგან მათი წარუმატებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა რუსეთის ხელისუფლებას არ ეკისრება.

## თავდაცვითი სტრატეგია?

**მიუხედავად მოსკოვის გაცხადებული თავდაცვითი მიზნებისა, კალინინგრადსა და სანკტ-პეტერბურგში განთავსებული ანტისარაკეტო სისტემები ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ნატოს აღმოსავლეთ ფლანგისთვის საფრთხეს წარმოადგენს. დაპირისპირების შემთხვევაში, ეს სისტემები რუსეთის შენაერთებს საჰაერო დაზღვევას და ოპერაციულ უპირატესობას მისცემს. გარდა ამისა, რუსეთს შეუძლია, სწრაფი მოქმედების შენაერთებით მისი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ მყისიერად დაწინაურდეს.**

რუსეთის საზღვართან თავდაცვითი სისტემები, უკრაინელებისა და ქართველებისთვის, ალბათ, თავდაცვითად არ გამოიყურება, და ეს გასაგებია... რუსეთს აქვს თავდასხმითი პოტენციალი მეზობლების წინააღმდეგ.

„საომარი მოდელირების“ და ანალიზის საფუძველზე, მიმომხილველთა ნაწილს მიაჩნია, რომ კონფლიქტის შემთხვევაში მოსკოვი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს კოორდინირებულად გამოიყენებს. მოსკოვი შეეცდება მისი მოწინააღმდეგის კომუნიკაციის საშუალებების გარღვევას კიბერ თუ ელექტრონული მეთოდებით. მისი მთავარი სამიზნე მოწინააღმდეგის იმ მოქმედების აღკვეთა იქნება, რომელიც მის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას საფრთხეს შეუქმნის. რენდის კორპორაციის თქმით, რუსეთს გააჩნია საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სისტემები ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი, შორი რადიუსის სახმელეთო თავდასხმის და ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების გამოსაყენებლად. თუმცა კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში რენდის კორპორაციის ანალიზის მიხედვით, კრემლს საკმარისი რაკეტები და პლატფორმები არ გააჩნია.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ დასავლეთმა რუსეთის ტაქტიკური სვლები და სტრატეგია სწორად უნდა შეაფასოს. მნიშვნელოვანია, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი კონფლიქტის შემთხვევაში, თუმცა ვაშინგტონმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პირდაპირი დაპირისპირება რუსეთის ინტერესში არ შედის. მოსკოვის სამხედრო დოქტრინა არაპირდაპირ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას და მუშაობს ნატოს და ამერიკის სიმტკიცის დარღვევაზე.

**ანი ჩხიკვაძე**

# როცა საქართველოს ცას ოკუპირებულია!..

## საქართველო და „ვაგნერის“ რუსი დაქირავებულები როსტოვიდან – სირიაში

**სიათს, თუ ჩარტერით ვინ გადაჰყავს ან რა გადააქვს, ბუნებრივია, მიუთითებს, მონაცემებში იქნება ჩანაწერი — მგზავრი, დავუშვათ 170 კაცი და დამთავრდა. შესაბამისად, „საქაერონავიაგაცია“ აქ ვერ გაიგებს თვითმფრინავში „ვაგნერის“ მებრძოლები არიან, რუსეთის არმიის ჯარისკაცები თუ ჩვეულებრივი მგზავრები.**

**ის, რომ ეს კონკრეტული სირიის კერძო ავიაკომპანია საერთაშორისო სანქციების ქვეშაა, არ არის გამორიცხული რომ გამოეპარათ, თუმცა ეს პრევენცია უფრო მაღალ, ICAO-ს, Eurocontrol-ის და სხვა საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების დონეზე უნდა მოხდეს, ასეთ კომპანიებს ფრენა იქიდან წამოსული მითითებებით უნდა აეკრძალოთ. ამ გამოძიების შემდეგ, ალბათ მოხდება ბევრი სხვა დეტალის გარკვევა და რეაგირება.“**

სირიის კერძო ავიაკომპანია Cham Wings და მისი მფლობელი ბიზნესმენი ისამ შამუტი დიქტატორ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმისთვის აღმოჩენილი ფინანსური დახმარების, დაქირავებული მებრძოლებისა და სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადატანის გამო 2016 წლიდან აშშ-ის სანქციების ქვეშ იმყოფება. ამის შედეგად სირიის ავიაკომპანია, რომელსაც ხუთი ხომალდი გააჩნია, რეგულარული რეისებით მხოლოდ ორ ევროპულ ქვეყანაში: თურქეთსა და სომხეთში დაფრინავს.

„საქაერონავიგაციაში“, რომელიც ქვეყანაში საჰაერო მოძრაობის მართვაზეა პასუხისმგებელი, „ამერიკის ხმას“ უთხრეს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცით რუსული სამხედრო ტვირთისა და პერსონალის ტრანზიტი დიდი ხანია აღარ ხდება, თუმცა არ დააკონკრეტეს, ჩვენს საჰაერო მარშუტებს სირიის კერძო ავიაკომპანია Cham Wings რუსეთის მიმართულებით ჩარტერული ფრენებისთვის რამდენად ხშირად იყენებს. იგივე პოზიცია აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაც.

მეორე მხრივ, სირიაში მოკლული რუსი დაქირავებული მებრძოლების ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ მათი კონფლიქტის ზონაში გადასროლა სწორედ როსტოვიდან მოხდა, სადაც კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ რამდენიმე საწვრთნელი ბაზა აქვს. სირიიდან იქვე იღებენ „ტვირთ-200“-საც, დაღუპულების გვამებს.

Conflict Intelligence Team-ის მონაცემებით, „ვაგნერის“ დაჯგუფების შენახვაზე, რომელსაც სირიაში რუსეთის ჩრდილოვან არმიასაც უწოდებენ, 2016 წლიდან, დაახლოებით 400 მილიონი დოლარი დაიხარჯა. რუსეთის სამხედრო დაზვერვის (GRU) თადარიგის პოდპოლკოვნიკის დიმიტრი უტკინის „ბიჭებმა“ სირიაში ყველა სისხლისმღვრელ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგაც, სადაც ყველაზე მძიმე დანაკარგი განიცადეს.

„ვაგნერის“ გასამხედროებული დაჯგუფების პირადი შემადგენლობისა და დანაკარგების ზუსტი რაოდენობა გასაიდუმლოებულია, თუმცა სხვადასხვა წყაროს ცნობით, სირიაში უკვე ასობით რუსი დაქირავებული ჯარისკაცია მოკლული. ერთ-ერთი მათგანის, 2017 წელს დაღუპული ევგენი ალიკოვის დედა ნინა ატიუშევა ამბობს, მის შვილს სამშობლოში სამხედრო მოსამსახურედაც არ აღიარებენ: **„სამხედრო კომისარიატში გავაგზავნე ყველა დოკუმენტი და მომივიდა პასუხი, რომ იგი არსად რეგისტრირებული არ იყო, სამხედრო არ არის, არავინ არაფერი იცის, თითქოს არც ყოფილა, სულ ტყუილად დაიღუპა.“**

საქართველოსა და რუსეთს შორის 2006-2011 წლებში მოქმედებდა ხელშეკრულება „საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ“. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოსკოვი სომხეთში მდებარე გიუმრის სამხედრო ბაზის მატერიალურ-ტექნიკურ და საკადრო უზრუნველყოფას ახდენდა.

სომხეთში გადაფრენამდე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ხომალდები ვალდებულები იყვნენ სრული ინფორმაცია მიეწოდებინათ ქართული მხარისთვის, მგზავრთა, სამხედრო ტვირთის შემადგენლობისა და რაოდენობის ჩათვლით.

ამავე დროს, მოსკოვს აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ იმ სამხედრო ტვირთებს, რომელთა გადაზიდვა საქართველოს გავლით ხორციელდებოდა, მესამე მხარეს არ გადასცემდა. იმ პერიოდში, სომხეთის აეროპორტებში რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ ჩატანილი სამხედრო ტვირთის ინსპექტირებას სომხეთში საქართველოს საელჩოს სამხედრო ატაშე ახდენდა.

**2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, თბილისმა ეს ხელშეკრულება ჯერ დაბლოკა, 2011 წელს კი საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ხელშეკრულება საერთოდ შეწყდა. თუმცა, სამხედრო ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთი ბოლო 10 წლის მანძილზე, გიუმრის სამხედრო ბაზის ფუნციონირებისთვის, ისევ საქართველოს საჰაერო სივრცეს და იგივე შენიღბულ სქემას, ჩარტერულ სამოქალაქო რეისებს იყენებს, სადაც მონაცემები მგზავრთა და ტვირთის შესახებ გაყალბებულია.**

**„ამერიკის ხმა“**

◎ თანამშრომლობა

# ვერის ბაღს ფუნქცია დაუბრუნდა

**„სასკი ბასკონიას" გენერალურმა დირექტორმა ხესუს ვასკესმა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს კემპის დახურვაზე „ბასკონიას" მაისური უსახსოვრა**

„ბასკონიას" კემპი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში დასრულდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და ესპანური კლუბის ერთობლივი პროექტის ფარგლებში თბილისში „ბასკონიას" კემპი უკვე მეოთხედ ჩატარდა და ამჯერად მასში 160-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა.

კემპის დახურვის ცერემონიალს საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და „ბასკონიას" ხელმძღვანელებთან ერთად სპორტისა და კულტურის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე დაესწრო. იგი კემპის მონაწილეებს მიესალმა და სასიხარულო ამბავი ამცნო: "უკვე გარკვეულია, რომ სახელმწიფოს მიერ ვერის ბაღის საკალათბურთო კომპლექსი კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას გადაეცემა. უახლოეს მომავალში ამ დარბაზში „ბასკონიას" აკადემია გაიხსნება და ნებისმიერ ქართველ მოზარდს შეეძლება ესპანელ სპეციალისტებთან მთელი სეზონის განმავლობაში ვარჯიში".



პირენეებზე წამსვლელი ბავშვების ვინაობა ვერის ბაღში კემპის დახურვის ცერემონიალზე ბასკმა კოორდინატორმა მარსელო ნიკოლამ დაასახელა. ესპანეთიდან ჩამოსული სპეციალისტები ქართველ ახალგაზრდა მწვრთნელებთან ერთად 1 კვირის მანძილზე ავარჯიშებდნენ პერსპექტიულ ქართველ მოზარდებს, რომელთაგან საბოლოოდ ის 17 შეარჩიეს, რომლებიც ივლისის თვეში ვიტორიაში გაემგზავრებიან და „ბასკონიას" გენერალურ კემპში მიიღებენ მონაწილეობას.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ 64

# საოცარი პოზიცია

**ალექსეი ტროიცკი (1866-1942) მხატვრული საკომპოზიციო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუძემდებელია. პირველი ეტიუდი გამოაქვეყნა 1895 წელს და იგი უკვე იმ დროს ხელოვნების დონემდე აიყვანა. მისი ყველა ნაწარმოები აკმაყოფილებს კომპოზიციის ძირითად პირობებს: დაფაზე განლაგებული ფიგურების მინიმალური რაოდენობით მოგების ან ყაიმის დემონსტრირებას. ამ კრიტერიუმის მოთხოვნა ლაიტმოტივად გასდევს თანამედროვე საკომპოზიციო ხელოვნებას.**

I დიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში თეთრებს დიდი მატერიალური უპირატესობა აქვთ, შავები კი კონტრარგუმენტებით უპირისპირდებიან მეტოქეს. შექმნილია საოცარი პოზიცია. თეთრებს შეუძლიათ ყველა ფიგურის შეწირვით არა მარტო გადაარჩინონ პარტია, არამედ გამარჯვებასაც მიაღწიონ!

მე-5 სვლაზე შავი პაიკი იძულებულია გაიჯახუნოს „სათაგურის" ღია კარი და საბოლოოდ ხაფანგში გააბას საკუთარი გვირგვინოსანი.

II დიაგრამაზე ფიგურათა თანაფარდობაა, მაგრამ თეთრები სარგებლობენ შავი მეფის თამაშგარე მდგომარეობით და აშამათებენ მოწინააღმდეგეს.

მოამზადა

**თამაზ შენგელია**




◎ ფეხბურთი



**საქართველოს XXX ჩემპიონატი. ეროვნული ლიგა. VI ტური. „დინამო" — „საბურთალო" 0:1, „რუსთავი" — „კოლხეთი" 2:0, „ტორპედო" — „ჩიხურა" 0:1, „სამტრედია" — „დილა" 0:0, „ლოკომოტივი" — „სიონი" 1:2.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „საბურთალო" — 15, „დინამო" — 12, „ჩიხურა", „დილა" — 11-11, „ტორპედო", „რუსთავი" — 9-9, „სიონი" — 7, „სამტრედია", „ლოკომოტივი", „კოლხეთი" — 4-4 ქულა.

**ბომბარდირი:** გაბედავა („ჩიხურა") — 5 გოლი.

# აქეთურ-იქითური

* * *

***იტალია.*** *„იუვენტუსი" — „სამპდორია" 3:0, „მილანი" — „ნაპოლი" 0:0, „ლაციო" — „რომა" 0:0.*

***ესპანეთი.*** *„ბარსელონა" — „ვალენსია" 2:1, „მალაგა" — „რეალი" 1:2, „ატლეტიკო" — „ლევანტე" 3:0.*

***ინგლისი.*** *„ტოტენჰემი" — „სიტი- 1:3, „ლივერპული" — „ბორნმუთი" 3:0, „მანჩესტერი" — „ვესტ ბრომვიჩი" 0:1.*

***გერმანია.*** *„ბაიერნი" — „გლადბახი" 5:1, „შალკე" — „დორტმუნდი" 2:0, „ლევერკუზენი" — „აინტრახტი" 4:1.*

***საფრანგეთი.*** *„პარი სენ-ჟერმენი — „მონაკო" 7:1, „ლიონი" — „ამიენი" 3:0, „ტრუა" — „მარსელი" 2:3.*

**გიორგი შოთაძე**

◎ ლეგიონერი

# ბინაძე ივნისისთვის ემზადება

**„ბორჯღალოსანმა" ბექა ბიწაძემ 3-თვიანი იძულებითი უქმობის შემდეგ ვარჯიში განაახლა და ზაფხულის ტესტ-მატჩებისთვის ემზადება. 27 წლის მესამეხაზელს წლის განმავლობაში სამი ტვინის შერყევა მოუგროვდა და მსოფლიო რაგბის რეგულაციების თანახმად 3-თვიანი დასვენება მოუწია.**

**„პირველი ტვინის შერყევა ზაფხულში, აშშ-თან ტესტ-მატჩისას მივიღე და 10 დღე დავისვენე. კლუბში რომ დავბრუნდი, ორი ამხანაგური თამაში ჩავატარე და მეორე ოფიციალურ შეხვედრაში, „კოლომიესთან" ისევ ტვინის შერყევა მივიღე. ამჯერად 1 თვით მომიწია დასვენება. საახალწლო შესვენების შემდეგ „ნარბონს" 12 იანვარს პირველი თამაში კვლავ „კოლომიესთან" ჰქონდა, პირველსავე წუთზე მე და ჩემი 2-მეტრიანი, 130-კილოიანი მეორეხაზელი პარტნიორი ბოჭვაზე წავედით, მისი იდაყვი თავში მომხვდა და გონება დავკარგე. რადგან წლის განმავლობაში მესამე ტვინის შერყევა იყო, 3 თვით მომიწია დასვენება და, ფაქტობრივად, ჩემთვის სეზონი 12 იანვარს დასრულდა",** — იხსენებს უქმობის მიზეზებს ბიწაძე.

აღდგენის პირველი 2-3 კვირა განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. ექიმებმა ბექას ტელევიზორის ყურება და ტელეფონზე ლაპარაკიც კი აუკრძალეს. რადგან ცივი ზამთარი იყო, ქართველი მესამეხაზელი გუნდის ვარჯიშების საყურებლადაც ვერ დადიოდა და მთელ დღეებს სახლში ატარებდა:

**„ეს დღეები ძალიან გაიწელა. რომ მირეკავდნენ, ტელეფონის ეკრანსაც არ ვუყურებდი. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ ექიმებმა ტელევიზორის ყურებისგან გარკვეული დროით თავის შეკავება კიდევ ერთხელ მირჩიეს და რადგან საქმე ჯანმრთელობას ეხებოდა, სხვა რა გზა მქონდა? მხოლოდ 2-3 კვირის წინათ დავიწყე კისრის მასაჟები, ერთი კვირის წინათ სირბილიც განვაახლე, მომავალი კვირიდან კი კონტაქტურ ვარჯიშებს ვიწყებ",** — ამბობს ბიწაძე, რომელმაც შეზღუდვების მიუხედავად რაგბი ევროპის ჩემპიონატს მაინც უყურა და ახალბედების თამაშით კმაყოფილი დარჩა:

**„ტრადიციულად, თავიდან პატარ-პატარა პრობლემები იყო, რაც შეუთამაშებლობის ბრალია, თუმცა, ბოლოს ყველაფერი დალაგდა და ყველაზე ძლიერ მეტოქეს, რუმინეთს, დამაჯერებლად მოვუგეთ. ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ ნაკრების ახალბედა ბიჭებმა ძალიან მაგრად ითამაშეს".**

თბილისის „ლოკომოტივის" აღზრდილმა მორაგბემ საფრანგეთში მესამე სეზონი გაატარა, თუმცა, პირველი — მეორე ელიტარულ დივიზიონ პრო დ2-ში. ბიწაძემ „ნარბონის" მაისურით 10 თამაში ჩაატარა და 9 შემთხვევაში სასტარტო შემადგენლობაში იყო, ლელოები კი „ვანსა" და „ორიაკს" გაუტანა.

მიუხედავად თამაშების სიმცირისა, ბექა ამბობს, რომ მაღალ დონეზე თამაშმა მას უდიდესი გამოცდილება შემატა:

**„საფრანგეთში პირველი ორი სეზონი ფედერალ1-ის „შამბერიში" გავატარე და შარშანწინ პრო დ2-ში ასასვლელი ფინალი „ნევერთან" წავაგეთ. ამ დროს მე უკვე ვიცოდი, რომ პრო დ2-ის „ნარბონში" გადავდიოდი, რომელთანაც კონტრაქტი დეკემბერში გავაფორმე.**



**ამ ორი ლიგის შედარებაც არ შეიძლება. „შამბერიში" 5 თანაგუნდელი მყავდა, რომელიც პარალელურად მუშობდა. იქ ხუთშაბათის გარდა, დღეში მხოლოდ 1 ვარჯიში გვქონდა, აქ კი დილით 8 საათზე ბაზაზე ვიყავით, პირველ ვარჯიშს 12 საათზე ვასრულებდით და 15 საათზე მეორე ვარჯიში გვქონდა. პრო დ2-ში ყველა პროფესიონალია და მორკინალები დიდი, ჯანიანი ბიჭები არიან, ხოლო ხაზში ყველა გუნდს სწრაფი მორაგბეები ჰყავს. შედეგად, თამაშის ტემპიც ბევრად მაღალია და აშკარად ვგრძნობდი, რომ როცა ვთამაშობდი, ყოველდღე ვუმატებდი. სამწუხაროდ, ტვინის შერყევამ ეს პროცესი შეაჩერა".**

მიმდინარე სეზონის შედეგების მიხედვით, ბიწაძის „ნარბონი" ფედერალ 1-ში დაქვეითდა. ბექამ ჯერ არ იცის, როგორი იქნება მისი მომავალი და პრო დ2-ის კლუბებისგან შეთავაზებებს ელოდება. თუ ეს არ მოხდება, მას გუნდთან ერთად ფედერალ 1-ში მოუწევს დაბრუნება.

ამჟამად ბიწაძის გონება „ბორჯღალოსნებსა" და ზაფხულის ტესტ-სერიას უტრიალებს. ბექას სურს, რომ დარჩენილ დროში სასურველ კონდიციებში ჩადგომა შეძლოს და ამისთვის თავდაუზოგავ შრომას იწყებს:

**„აპრილის ბოლომდე საფრანგეთში ვიქნები და თავდაუზოგავად ვივარჯიშებ, რათა გაცდენილის აღდგენა შევძლო. თვის ბოლოს საქართველოში ჩამოვალ და ვარჯიშს ნაკრების ადგილობრივ კანდიდატებთან ერთად გავაგრძელებ. ცუდია, სათამაშო ტონუსში რომ ვერ ვიქნები, თუმცა, თუ ნაკრების ხელმძღვანელობა მენდობა, ზაფხულის ურთულეს თამაშებში ვეცდები, შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო".**

**კობა კობახიძე**

# სად, რა, როდის, ვინ?

## თარიღი, მოვლენა, შეფასება

**1933 წლის 2 აპრილს**

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (გსპს) ხელმძღვანელობამ სპეციალური წერილით მოახსენა ი.ბ. სტალინს, რომ გსპს-ს ორგანოების მიერ სპეკულაციის ბრალდებით დაპატიმრებულია 54370 კაცი.

**1922 წლის 3 აპრილს**



ი.ბ. სტალინი აირჩიეს რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. ის ამ თანამდებობაზე იყო სიცოცხლის ბოლომდე – 1953 წლის 5 მარტამდე.

**1954 წლის 4 აპრილს**

თბილისში, მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის დროს, უბილეთოების ბრბომ სცადა სტადიონზე შეღწევა. წარმოიშვა ჭყლეტა, რის დროსაც დაიღუპა 20 ადამიანი.

**1906 წლის 10 აპრილს**



პეტერბურგის ახლოს მდებარე საგარაკო დასახლებაში მუშათა ჯგუფმა ესერ პეტრე რუტენბერგის მეთაურობით სიკვდილით დასაჯა 1905 წლის 9 იანვრის („სისხლიანი კვირის“) მოვლენების „გმირი“, მღვდელი გიორგი გაპონი. დამსჯელებმა ის პოლიციასთან კავშირში დაადანაშაულეს.

**1950 წლის 10 აპრილს**

სამშობლოს ღალატის ყალბი ბრალდებით დახვრიტეს თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავარი, ავიაციის მარშალი სერგეი ხუდიაკოვი.

**1950 წლის აპრილში**



საქართველოში, ქ. რუსთავში ამოქმედდა ამიერკავკასიის პირველი მეტალურგიული ქარხანა.

**1275 წლის 10 აპრილს**

კატასტროფული მიწისძვრა მოხდა საქართველოში – „შეიძრა მძაფრად ქუეყანა“. მიწისძვრა განმეორდა 11, 12 და 13 აპრილს. „დაიქცნენ საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი“. მიწისძვრის ეპიცენტრი სამცხეში ყოფილა. მას დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

**1840 წლის 10 აპრილს**

რუსეთის იმპერიის კანონისა და შესაბამისი დებულების ძალით სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) ორ ადმინისტრაციულ ერთეულად – საქართველო-იმერეთის გუბერნიად და კასპიის ოლქად გაიყო.

**1802 წლის 12 აპრილს**

თბილისში, სიონის ტაძარში, რომელიც რუსული ჯარით იყო გარშემორტყმული, წაიკითხეს „იმპერატორ ალექსანდრ I-ის მანიფესტი“, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად და რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა. ხალხით გაჭედილ ტაძარში სამარისებური სიჩუმე იდგა.

# ტარიელ ონიანი – ქურდების „გენერალისიმუსი“

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ამ სასიკვდილო განაჩენს პირველმა ხელი დაჭრილმა „იაპონჩიკმა“ მოაწერა, მეორემ – „დედ ხასანმა“. უკვე ნახსენები სუკ-ის თანამშრომლის სერგეი კ-ს თქმით, ქურდული სამყაროს „გენერალისიმუსების“ ომი, შესაძლოა, თავად რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში, შესაბამის სამმართველოებს შორის არსებული დაპირისპირებით იყოს განპირობებული: პირველი მათგანი ფინანსურ დანაშაულებს, ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევას, კონტრაბანდასა და ორგანიზებულ დანაშაულს, მეორე კი შს სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თანამშრომელთა რიგებში მაქცია თანამშრომლებს ებრძვის. „დედ ხასანიც“ ამ ორი სამმართველოს ქიშპობის ველში მოჰყვა: უშიშროებიდან, ეგრეთ წოდებული „კ“-ს თანამშრომლები მის ხალხს დასდევდნენ, „მ“-ის თანამშრომლები კი მფარველობდნენ, თუმცა მისი დაცვა მაინც ვერ შეძლეს და 2013 წელს იგი მოკლეს.

საზოგადოება „ექსპრესტრეიდში“ ტარიელ ონიანის პარტნიორი და ნახევარი წილის მფლობელი გელა ცერცვაძე იყო. ვარაუდობენ, რომ კომპანიონად ამ კაცის არჩევით, იგი ძველი კავშირებით ხელმძღვანელობდა: **გელა ცერცვაძე** 1961 წელს ჭიათურაში დაიბადა, ტყიბულის მახლობლად. იგი მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის დიდი მეგობარია. ამასთან, კრიმინალურ სამყაროსთან მას მუდამ მჭიდრო კავშირები ჰქონდა. ჯერ კიდევ 1999 წელს მან ტარიელის უმცროს ძმასთან დავითთან ერთობლივად სავაჭრო ფირმა გახსნა. 2008 წელს იგი „დედ ხასანისა“ და „იაპონჩიკის“ ქურდულ კლანებს შორის ომის მსხვერპლი გახდა. მკვლელმა მას „კალაშნიკოვის“ ჯერი მიუშვა. მართალია, მძიმედ დაჭრილი ცერცვაძე გადარჩა, მაგრამ მას შემდეგ ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული.



**ძველი მეგობრები: იური ლუჟკოვი (მარცხნივ) და გელა ცერცვაძე (ზის)**

გელა ცერცვაძე უდიდესი პატივისცემით სარგებლობს როგორც საქართველოს ეკლესიის იერარქებში, ასევე მოსკოვური ელიტის წარმომადგენლებში, რისთვისაც შარშან აგვისტოში მისი უფროსი ვაჟის, 22 წლის თორნიკეს ქორწილის ზოგიერთი სტუმრის ჩამოთვლაც კმარა. სავაჭრო ცენტრ „ევროპეისკის“ საბანკეტო დარბაზში 800 კაცზე გაშლილი სუფრის წევრებს შორის იყვნენ მისი რძლის **სარინას** მშობლები **ლიანა** და **მიხეილ ტურეცკები**, რუსეთის კულტურის მინისტრი **ვლადიმერ მედინსკი**, საკონსტიტუციო და უმაღლეს სასამართლოებში რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი **მიხეილ ბარშჩევსკი**, კოსმონავტი **ალექსი ლეონოვი** და ტულის ყოფილი გუბერნატორის ვაჟიშვილი **ლეონიდ გრუზდევი**, მომღერლები **იოსებ კობზონი** და **ნიკოლაი ბასკოვი**, მსახიობი **ემანუილ ვიტორგანი**. საზეიმო ღონისძიება კი პოპულარულ ტელეწამყვან **ანდრეი მალახოვს** მიჰყავდა...

**„სოვერშენნო სეკრეტნო“**

# 3,6 მლნ ევრო – ბათუმის კოლექტორისთვის

**ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის II ფაზის ფარგლებში მიმდინარეობს ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა, რომლის გავლითაც სანიაღვრე წყლები არდაგანის ტბის მიმდებარედ მშენებარე სატუმბ სადგურში უნდა შევიდეს.**

კოლექტორის მშენებლობა 2019 წლის IV კვარტალში დასრულდება.

პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეღავათიანი სესხისა და გრანტის ფარგლებში ფინანსდება.

სამუშაოების ღირებულება 3,6 მლნ ევროს შეადგენს.

# ყვარელში ილიას ტბასთან ახალ სასტუმროს აშენებენ

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმატებით აგრძელებს პროექტს „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“, რომლის მიზანია ინვესტორებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საქართველოს მასშტაბით შესთავაზოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ამჯერად, სააგენტომ პირობიან ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა ქალაქ ყვარელში, ილიას ტბის მიმდებარედ არსებული 29 962 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 150 000 ლარს შეადგენს.**




საპრივატიზებო პირობის მიხედვით, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დაინტერესებულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სულ მცირე 5 000 000 ლარის ინვესტიცია, 40 ნომრის მქონე სასტუმროს შექმნა და 40 ადამიანის დასაქმება.

## სამძიმარი

საქართველოს მეგზეურთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო მშენებლობის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**თამაზ ჭურაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



# მკვლელი საკადრისად დაისაჯა

**სასამართლომ გაუპატიურების მცდელობასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა – ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურა ავრცელებს.**

საუბარია 2017 წლის 16 ივლისს უზნაძის ქუჩაზე მომხდარ დანაშაულზე. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა რობერტ ახალაიამ მამიდაშვილს – 1998 წელს დაბადებულ გოგონას ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

**„თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გაუპატიურების მცდელობასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებული რ.ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,137-ე მუხლის პირველი ნაწილით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.**

**თბილისის საქალაქო სასამართლომ რ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“,** – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

# მოძალადე პოლიციელი და მისი ძმა დააკავეს

**ახალციხის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელი ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს. როგორც შსს-ში აცხადებენ, მას არასრულწლოვნების თანდასწრებით ცოლის ცემაში ედება ბრალი. უწყებაში ამბობენ, რომ ი.ბ. ძმასთან ერთად არის დაკავებული. ორივე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც ქალბატონი ცემეს.**

შემთხვევა 9 აპრილს მოხდა. ორივეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 13 აპრილს შეეფარდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

# თამარ მეფის გამზირზე ავტომობილი ქვეითს შეეჯახა

**ახალგაზრდა ქალი მსუბუქი დაზიანებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია. მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტით მოძრაობის და ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.**

# თბილისის გავლით 150 ათას დოლარად იმოგზაურეთ, მილიონერებო!



**ცნობილ ბრიტანულ გამოცემაში — Busines Insider UK — გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ კომპანია Abercrombie & Kent ტურიზმის მდიდარ მოყვარულებს 150 ათას დოლარად ძალზე საინტერესო მარშრუტს სთავაზობს: მოგზაურობას დედამიწის გარშემო 25 დღეში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კერძო თვითმფრინავებით, ძვირფასი იახტებით, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებით და, საერთოდ ისეთი უმაღლესი დონის მომსახურებით, რასაც მილიონერები არიან მიჩვეული.**

სტეფანია ასიმკოსის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, 25-დღიანი ტურის განმავლობაში მოგზაურები მოინახულებენ ექვსი კონტინენტის 7 ქვეყანას. მოგზაურობა იწყება მაიამიში (აშშ, ფლორიდა), შემდეგ — ნიკარაგუა, ჩილე, აღდგომის კუნძული, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ინდოეთი, ომანი, საქართველო და მთავრდება ნიუ-იორკით. პუბლიკაციის მიხედვით, საქართველოში მილიონერი ტურისტები ჩადიან მოგზაურობის 22-ე დღეს. „საქართველო — ქვეყანა, სადაც აღმოსავლეთი დასავლეთს ხვდება" — ასეა დასათაურებული პუბლიკაციის ბოლო ნაწილი, რომელშიც ვკითხულობთ:

**„თბილისი მოგზაურობის დამაგვირგვინებელი ქალაქია. აქ თქვენ დაათვალიერებთ მე-17 საუკუნის ციხე-სიმაგრეს, გაისეირნებთ ქალაქში, დატკბებით საგუნდო სიმღერებით და მუსიკალური სტილით. შესაძლებლობა გექნებათ, დააგემოვნოთ ქართული ღვინო ქართულ ადგილობრივ დელიკატესებთან ერთად. თბილისში ყოფნის ბოლო 24-ე დღე აღინიშნება გამოსათხოვარი ვახშმით".**

„BUSINESS INSIDER"
**(დიდი ბრიტანეთი)**

## „გადაიღე საქართველოში" - სტენდი პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ENTERPRISE GEORGIA

**15-დან 22 აპრილის ჩათვლით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" და ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, საქართველოს სტენდი იქნება წარმოდგენილი.**

პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი უდიდესი ღონისძიებაა, რომელიც მთელი მსოფლიოდან კინოინდუსტრიის პრესტიჟულ წარმომადგენლებს უყრის თავს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე საქართველო ფართოდ იქნება წარმოდგენილი, ვინაიდან პეკინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს Tiantan Award მოსაპოვებლად, მთავარ კონკურსში 2 ქართული ფილმი — ანა ურუშაძის „საშიში დედა" და მარიამ ხაჭვანის „დედე" იღებენ მონაწილეობას. ხოლო სექციაში „პანორამა", ნაჩვენები იქნება ელდარ შენგელაიას ახალი ფილმი „სავარძელი".

**ინტერნეტიდან**

## აუზიდან - ფოტოსტუდიაში



**იაპონელი მოდელი და მსახიობი სატომი ისაჰარა ახლაა ევროპაში მოღვაწე და მოდელობით სახელგანთქმული ასული, თორემ იყო დრო, როდესაც ამ გოგოს მოცურავედ იცნობდნენ და მსოფლიო ჩემპიონატზე თუ ვერა — იაპონიის პირველობაზე მცირე წარმატებებსაც კი ღირსებია.**

იგი ამომავალი მზის ქვეყნის მოდელთა იმ ახალ თაობას განეკუთვნება, რომლებმაც დაარღვიეს აზიაში ფესვგადგმული ტრადიციები და საცხოვრებლად არა მათი სამშობლო, არამედ თითქმის მთელი დედამიწა აირჩიეს. სატომიც სულ დადის, დადის და ამ სიარულში საქმესაც კოხტად აკეთებს.

რამდენიმე სიტყვა უნდა დავასველოთ ისაჰარას სამსახიობო კარიერაზეც. 31 წლის ყოფილმა სპორტსმენმა პირველი როლები იაპონურ ფილმებში ითამაშა, ბოლო წლებში კი თანამედროვე ბრიტანულ სერიალებსაც გაუგო გემო და რამდენიმე ცნობილ სერიალშიც მიიღო მონაწილეობა. ევროპაში ამბობენ, სატომისთანა ქალს კიდევ ბევრი წარმატება ექნებაო და ჩვენც უნდა ვირწმუნოთ ეს ამბავი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## მიირთვით ცხარე კერძი!

**სანელებლები ხელს უწყობენ გახდომას.**

ამერიკელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ცხარე კერძები სხეულის ტემპერატურის მატებას იწვევს და ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს. ეს კი თავის მხრივ, წონის შემცირებას უწყობს ხელს. ამიტომ, ისინი, ვის ყოველდღიურ კვების რაციონში თუნდაც ერთი ცხარე კერძია, იმაზე გაცილებით მალე ხდება, ვინც, უბრალოდ, ზღუდავს საკვების კატეგორიულობას.



## თუ მოდუნება გესაჭიროებათ...

**მასაჟი — ესაა საგანგებო ხერხებით ორგანიზმის მექანიკური გაღიზიანება, რომელთა შორისაა გადასმა, დაზელვა, მოთელვა, დარტყმა და რხევა.**

მოდუნების ეს საშუალება კარგად მოქმედებს ფიზიკური და გონებრივი გადაღლის დროს, სხვადასხვა ნაწილის მირტყმისას, დაჭიმვისას, ფეხის კუნთების კრუნჩხვებისას, ხელს უწყობს მოტეხილობების შემდეგ ძვლების აღდგენას. ასევე სასარგებლოა იგი ოსტეოქონდროზისა და ქრონიკული უძილობის, გულის სისხლძარღვთა დაავადების დროსაც.

ოდითგანვე მასაჟის მრავალი საუკუნეების მანძილზე კარგად გამოცდილი მიმართულება დანაირსახეობა არსებობს. მაგალითად, **თურქეთში** სახსრებს გრეხენ და ჭიმავენ, **იაპონიაში** — გარკვეულ ზონებს თითს აჭერენ, **ჩინეთში** — სხეულს მოლუსკების ნიჟარებით, ხის საფხეკებითა და ბასრი დანებითაც კი ფხეკენ, **წყნარი ოკეანის კუნძულებზე** ტანზე ბამბუკის ჯოხებს ურტყამენ, რაც იმას მოწმობს, რომ მასაჟი პირველყოფილი ხალხებისთვისაც იყო ცნობილი.

**სპარსეთსა** და **თურქეთში** მასაჟებს საზოგადოებრივ აბანოებში აკეთებდნენ, რისი ტექნიკაც განსხვავებულია ძველ საბერძნეთსა და რომში მიღებულისგან და მსოფლიო მას „აღმოსავლურის" სახელწოდებით იცნობს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4162; ევრო - 2.9811;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4530;
100 რუბლი - 3.9216; თურქული ლირა - 0.5917;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4284;
1000 სომხური დრამი - 5.0014.

**ამინდი 17 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -4, | დღე +20 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -1, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე +4, | დღე +16 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge